ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 1 (28)

9 I 1991

შობამან შენმან ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავსა მსახურებდეს ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანი-



სცემად შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალით, უფალო დიდება შენდა.

შობის ტროპარი

# მართლმადიდებელნო, ძმანო ქრისტიანენო!

**შენ** ქრისტიანე ხარ, ძმაო ჩემო, და უეჭველია, არაერთგზის გიფიქრია იესო ქრისტეზე, ათასჯერ წარმოგითქვამს მისი სახელი, ათასჯერ გილოცავს მის სახელზე, გარნა ნუ გაგიკვირდება, თუ გითხრა, რომელ იესო ქრისტე იქნება, ჯერ არც კი დაბადებულა შენთვის, ანუ შენს გულში. როდის დაიბადება, ანუ რა სახით დაიბადება ქრისტე კაცის გულში, გკითხავ მე შენ? მხოლოდ იმ წამს, ძმაო, როდესაც შენ იგრძენ ჭეშმარიტი და ნამდვილი სიყვარული იესო ქრისტესი. რა სიყვარული არის ეს, იფიქრებ შენ. მე მეგონა, რომ კიდეც მიყვარდა იესო ქრისტე? როგორ აგიხსნა ძმაო, რა არის სიყვარული? სიყვარულს კაცი ვერ ახსნის სიტყვითა, თუმცა გულში კი გრძნობს. მაგრამ, იქმნება, რომლითამე მაგალითითა გაცნობო, რა არის სიყვარული: იქმნება შენ ვინმე გყავდეს ყოველთა უსაყვარლესი პირი, ანუ მეუღლე, ანუ შვილი, ანუ მეგობარი. წარმოიდგინე, რომ იგი დიდი ხანი არ გენახოს და მერმე უცბად დაინახო, რას იგრძნობ მაშინ? გული დაიწყებს ძგერასა; სული გაგინათლდება; რაღაც გამოუთქმელს სიხარულს იგრძნობ. სწორედ ეგრედვე უნდა იგრძნოს, ერთხელ მაინც, კაცმა, როდესაც იგი იფიქრებს იესო ქრისტესა ზედა, და მაშინ მხოლოდ დაიბადება ანუ გამოისახება ქრისტე მის გულში. უკეთუ ზედა, და მაშინ მხოლოდ დაიბადება ანუ გამოისახება ქრისტე მის გულში. უკეთუ ესრედი გრძნობა არ გაუჩნდა კაცს გულში, მისთვის ქრისტე არ არის დაბადებული.

როდესაც ესრედ ქრისტე გამოისახა, ანუ დაიბადა სიყვარულის საშუალებითა შენს გულში, მერმე იგი უნდა გაღიდდეს, ანუ გაიზარდოს მუნვე. იგი გაიზრდება მაშინ, როდესაც შენ ხშირად ფიქრობ მას ზედა სიყვარულითა და ღმობიერებითა. როგორადაც კაცი კაცს დაუახლოვდება, მაშინ იგი შეიტყობს მისსა ხასიათსა, მისთა აზრთა, სურვილთა, ერთი სიტყვით, იცნობს მას და ყოველთა მისთა თვისებათა, აგრეთვე უნდა ეცადო და გაიცნო იესო ქრისტე. როდესაც კაცს გაიცნობ და დაუახლოვდები, ამ ორში ერთი მოხდება: ან შეატყობ, რომ იმ კაცს ბევრი ცუდი თვისება აქვს და ბევრი ცუდი ხასიათი, და შეწუხდები ამაზე და აღარ შეიყვარებ, ან შეატყობ, რომ ის კაცი კეთილი არის, მრავალი კარგი თვისება აქვს და უმეტესად შეიყვარებ მას და მიუახლოვდები. **მხგავსად ამისა**, ოდეს ხშირად ფიქრობ და მახლობლად გაიცნობ იესო ქრისტესა, იცნობ, ვითარი განუსაზღვრელი ღვთაებრივის სიკეთისა და სისრულის სახე იყო იესო ქრისტე, რასაკვირველია, უმეტესად შეიყვარებ მას, და ესრედ, ღვთაებრივი მისი სახე გაღიდდება და გაიზრდება შენს გულში.

ესრედი დაახლოვება და გაცნობა იესო ქრისტესი, რასაკვირველია, არ დარჩება უქმად შენს გულში; იგი იწყებს სწავლასა და ქადაგებასა შენ შორის. ჰოი, ვითართა სიტყვათა გეტყვის იგი! ვითარსა გრძნობასა გააჩენს იგი შენს გულში! ვითარსა გაუმაძღარსა წყურვილსა ღვთაებრივისა მადლისასა, ვითარსა მისწრაფებასა, ვითარსა ნუგეშსა, ვითარსა მწუხარებასა, ვითარსა ნეტარებასა! მწუხარებასა — მაშინ, უკეუთუ შენ შთავარდი ლოცვაში და ულალტე მას; ნეტარებასა — მაშინ, როდესაც შენ ჰგრძნობ მისსა სიახლოვესა. ქრისტე ღმერთი მარადის დაუცხრომელად ჰქადაგებს გულსა შინა მოყვარისასა; ასწავლის მას, ანათლებს, სწმედს მისსა ზნეობასა და ყოფაქცევასა. როგორადაც რომელმან ბრძენმა მოძღვარმა აიყვანოს ჰაბუკი მცირეწლოვანი, შეუდგეს მისსა სწავლასა და განათლებასა, დღით-დღე ალიყვანდეს მას ხარისხითგან ხარისხამდე, გამლიდეს მისსა ჰკუასა, მართავდეს მისსა ზნეობასა, ვიდრემდის შეიყვანოს იგი სრულსა ჰასაკსა შინა, ეგრედვე ქრისტე ღმერთი ზრდის სულსა იმ კაცისასა, რომლის გულში იგი გამოისახა და იზრდება.

ესრედი ქადაგება, სწავლა და ხელმძღვანელობა ქრისტეს მადლისა არასოდეს არ დარჩება უნაყოფო კაცისათვის. კაცის გული და ზნეობა ცოტ-ცოტად იცვლება, და კეთდება. აქ, ძმაო, ქრისტე ღმერთი იწყებს სასწაულის-მოქმედებასა შენს ბუნებაში. სასწაული არ არის ის, ძმაო, რომ გაგანათლოს შენ სწავლითა. ანუ ალგიხილოს გონიერი თვალი, ვითარცა მან ოდესმე ალუხილა ხორციელი თვალი შობითგან ბრმასა; ანუ ოდეს ქრისტე ღმერთი მადლითა თვისითა კაცსა, ცოდვით მკვდარსა, ცოდვასა შინა შთაფლულსა, აღადგინებს, გააცოცხლებს, ცოდვას მოაძულებს და კეთილს საქმეს შეაყვარებს: ვგონებ, რომელ ეს იქმნება ამის **მგზავსი** სასწაული, როგორადაც მან ააყენა ოდესმე ოთხის დღის მკვდარი ლაზარე.

გარნა, ძმაო ჩემო, მოქცევა კაცისა ცოდვილისა არ არის ადვილი, ერთობ ძნელი არის ყოვლისა კაცისათვის დასტოვოს ცოდვა, რომელსა იგი მიეჩვია, რომელი გარდაიქცა თითქმის მისდა ბუნებად, და მიიქცეს კეთილისა ყოფა-ქცევისადმი. დიდად უჭირს მას ეს; დიდსა მწუხარებასა ჰგრძნობს იგი, ოდესაც სურს დაივიწყოს თვისი საყვარელი ცოდვა და დაიწყოს წმინდა და პატიოსანი ცხოვრება. უკეთუ შენ ჰგრძნობ, ძმაო, გულში ესრედსა მწუხარებასა, გარნა, არა მიმხედველი ამისა, ჰცდილობ იწყო წმიდა ცხოვრება და ყოველსავე სულგრძელად ითმენ უფლისა იესო ქრისტესათვის, იტოდე, რომ თვით უფალმა იესო ქრისტემ იწყო შენს გულში ეს მწუხარება და ვნება.

გარნა, ოდეს შენი მწუხარება და თმენა ერთობ გაღიდდა, ოდეს ცოდვამან ერთობ იწყო ძალადობა გულში და ტანჯვა შენი, გარნა შენ არა მიხედე ამას, არამედ სძლიე ცოდვასა, მაშინ შენ ჯვარცმულ ხარ უფლისა იესო ქრისტესთანა; სოფელი შენდამი ჯვარცმულ არს და შენ სოფლისათვის, ვითარცა იტყვის პავლე მოციქული: **ქრისტესთა მათ ხორცნი თვისნი ჯვარს აცვნეს ვნებითურთ და გულისთქმით;** გარნა უკეთუ შენ ქრისტესა თანა ჯვარცმულ ხარ, უთუოდ რომ ქრისტესთან აღსდგები მკვდრეთით.

აჰა, ძმანო, რას ნიშნავს სიტყვა პავლე მოციქულისა: **ვიდრემდის გამოისახოს ქრისტე თქვენს შორის;** აჰა, ვითარი განწყობილობა უნდა იყოს შენ და ქრისტეს შორის. იგივე წმიდა მოციქული პავლე იტყვის: თუ მე ცოცხალი ვარ ახლა, ჩემით არ ვარ ცოცხალი, არამედ ქრისტე სცხოვრებს ჩემს შორის. შენს გულშიდაც უნდა სცხოვრობდეს ქრისტე! ცხოვრება მისი ხელ-ახლად უნდა განმეორდეს შენს გულში ნაცვლად საკუთარისა შენისა ნებისა, ცოდვის უწმინდურის სურვილისა, ქრისტეს ნება, ქრისტეს სურვილი, ქრისტეს ნათელი ჰსუფევდეს შენს გულში, ერთი სიტყვით, ქრისტეს ტაძრად, ქრისტეს სადგურად გახდეს შენი გული, რომელიც და ინებოს ქრისტემან. — ამინ.

# „პოშუტილი რებიატა, ი ხვატეტ“!

დიდი ხანია არც ერთ საკავშირო ბრძანებულებას ისე არ „გაუხარებია“ ქართველი ხალხი, როგორც 7 იანვარს, მ. გორბაჩოვის ბრძანებამ „გაახარა“. პრეზიდენტის რიხიანმა გადაწყვეტილებამ გაამართლა ჩვენი უსიამოვნო მოლოდინის გრძნობა, რაც ე. შევარდნაძის გახმაურებული განცხადების შემდეგ აღგვეძრა. კრემლმა მართლაც გადაწყვიტა თავი ანებოს დემოკრატიობანას თამაშს და განაგრძოს ის ბინძური კურსი, რომელიც ლენინისაგან იღებს სათავეს და რომელზეც სსრკ მთავრობას ხელი არასდროს აუღია. ზუსტად ისე, როგორც ცნობილ რუსულ გამოთქმაშია: „პაშუტილი რებიატა ი ხვატეტ“.

სხვა „კოლონიალური“ ქვეყნების საშინაო მდგომარეობაზე ნიანგის ცრემლების მღვრელი სსრკ მთავრობა აშკარად აგრძელებს იმ კურსს, რომელსაც თვითონვე საჯაროდ კიცხავს და, რომელსაც სხვა არა ჰქვია რა, თუ არა სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა. კრემლი ვერაფრით ვერ შეგუებია იმ გარემოებას, რომ საქართველოს უკვე სხრ აღარ ჰქვია, ვერ შელევია იმ ხანეტარო მიწას, რომელიც წმინდა მარიამის წილხვედრია და კვლავ თავისი ბოროტი კლანჭებით ეპოტინება. სხვა არაფერი არ გვეუწყა საკავშირო ტელევიზიით ამ შობა დღეს. სამაჩაბლო, ჩვენი სამაჩაბლო, მოშორებული ემ სამარცხვინო სახელს, რასაც „სამხრეთ ოსეთი“ ერქვა, დღეს გმინავს და საშველად გვიხმობს. პრეზიდენტი კი თითს გვიქნევს — ეს მიწა, მართალია, თქვენ გეკუთვნით, მაგრამ მასზე ბატონობის და ბრძანების გაცემის უფლება მარტო მე მაქვსო. აღარ იცი კაცმა, იტირო თუ იცინო. თურმე შენი მიწის ბედ-იღბალი უნდა გადაწყვიტოს იმ საკრებულომ, რომელსაც სსრკ უზენაესი საბჭო ჰქვია და, ვაი, ჩვენი ბრალი, თუ რომელიმე ევენკის, ნენცის, ყაზახის თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელმა არ ისურვა ამ საკითხის ისე გადაწყვეტა, როგორც ქართველ ერს სურს. უფრო მეტიც გორბაჩოვი თავს ნებას აძლევს, ერთპიროვნულად გააუქმოს ჩვენი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება! ისე თამამად აკეთებს ამას, თითქოს დავით აღმაშენებლის პირდაპირი შთამომავალი იყოს და საქართველოს გამგებლობა ღვთისგან ჰქონდეს ნაბოძები... განა მსოფლიოს თანამედროვე ისტორიაში ამ ფაქტს ანალოგი ეძებნება? ვფიქრობთ, რომ არა. მსგავსი რამ მხოლოდ ავადმყოფურ გონებას თუ შეუძლია წარმოიდგინოს. პრეზიდენტის „უკაზი“, მონატრებულ სტალინურბერიევსკურ სტილში გაცემული, გვაუწყებს: ქართველ კაცს არა აქვს უფლება საკუთარი მიწა-წყლის დაცვისა და თუ მსგავს რამეს გაივლებს გულში, მკაცრად იქნება დასჯილი. სატანის ნააზრევს უფრო ჰგავს, ვიდრე კაცისას.

საქართველოს მტერი არასოდეს დაჰკლებია, ოდითგან გვარბევდნენ და გვაწიოკებდნენ. ყველას ჩვენს მამულზედ ეჭირა თვალი, თუმცა, კაცობრიობის ისტორიამ ცოტა თუ იცის ერები, დალხენილად რომ ცხოვრობენ. მტერი სხვათაც ჰყავდათ, მაგრამ მტერიც არის და მტერიც.

ჩვენ, ქართველებს, არც მტრის „არჩევაში“ გვქონია ბედი. ისეთი ზნედაცემული, ისეთი გათახსირებული, ისეთი კაცთმოძულე დამპყრობელი ჩვენ რომ დღეს გვყავს, სხვა აგრესორ სახელმწიფოთა შორის ძნელად თუ მოიძებნება. თან ისე ოსტატურად გვირევენ შარბათში საწამლავს, რომ დღემდე არა აქვს ყველას გაცნობიერებული მთელი სიგრძე-სიგანით, ვისთან გვაქვს საქმე.

არც არაბებს, არც მონღოლებს, არც თურქებსა და არც სპარსელებს ის არ უქნიათ საქართველოსათვის, რაც რუსეთის ორასწლიანმა ბატონობამ მოგვიტანა. რუსეთის აგრესიის შედეგებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, მხოლოდ ერთ მაგალითს გავიხსენებთ იმისას, რომ რუსეთის იმპერიის მსახურნი არიან „ყოველთა კაცთა მავნენი“ და ბოროტებასა ზედა განხელოვნებულნი. იცით, რა იყო 1812 წლის კახეთის აჯანყების საბაბი?

აი, რა: ჩვენმა „მფარველმა“ ყაზახებმა გზად მიმავალი ქართველი მანდილოსანი დაიჭირეს. ჯერ ჯგუფურად ჯიჯგნეს, გააუპატიურეს, შემდეგ კი ძაბრით ღვინო ჩაასხეს საშოში. გაგიკვირდათ, არა? ნუ გიკვირთ. „ნუთუ ესენი გვგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!“ არა, სხვა მტერს ისინი არ ჰგვანან, მათ გამორჩეული მტრობა იციან.

განა ჩვენს „სამფარველოდ“ და „წესრიგის დასამყარებლად“ არ ჩამოიყარნენ 9 აპრილსაც? ალიონზე ნიჩბებით რომ კეპეს შიშშილით მისავათებული ქალები და ბავშვები. არა, სხვათა მებრძოლთა წესი მათ არ იციან, მათ თავისი წესი აქვთ!..

აი, ამ ჯარს, აი, ამ ხალხს ავალებს ნობელის პრემიის ლაურეატი (?!) მიხეილ გორბაჩოვი სამაჩაბლოში წესრიგის აღდგენას.

ვაი, ჩვენო ქართლის ბედო, ამ გარდაქმნილი ტირანის ხელში.

P. S. 7 იანვარს, მიხეილ გორბაჩოვის სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ, არ გასულა ნახევარი საათი, როდესაც ცხინვალში პრეზიდენტის სიტყვით შეგულიანებულმა ოსებმა თავდასხმები დაიწყეს მართლწესრიგის ქართველ დამცველებზე...

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

# როცა დუმილი ოქრო არაა

**მარნეულში** მცხოვრები ქართველობა, რომელიც რაიონის მცხოვრებთა 6,1 პროცენტს შეადგენს მხოლოდ, დიდი სიხარულით შეხვდა არჩევნებში ეროვნულ ძალთა გამარჯვებას. გაჩნდა იმედი იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე გადაიდგა კიდევ ერთი რეალური ნაბიჯი.

ჩვენს დღევანდელ განწყობილებას ერთგვარად ჩრდილს აყენებს მარნეულში შექმნილი მდგომარეობა, რაც გამოწვეულია ზოგიერთის მოქმედებით. ერთ ხორც და ერთ სულ შეკრულ მარნეულელ ქართველობას კვლავ გათიშვის საფრთხე დაემუქრა. საფრთხე, რომელიც ერთი და ორი დღის შექმნილი არაა. პიროვნება, რომელიც ინიციატორი და აქტიური მონაწილეა ქართველთა წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი აქციისა, არც მეტი, არც ნაკლები, გახლავთ ყოფილი ილია მართლის, ამჟამად კი მერაბ კოსტავას საზოგადოების მარნეულის ფილიალის თვითმარქვია თავმჯდომარე (თვითმარქვია, რამეთუ, როგორც მისი გამგეობის წევრები გვარწმუნებენ, მათ იგი არ აურჩევიათ).

ეს პიროვნება მარნეულელმა ქართველებმა 1989 წლის 26 მაისს იხილეს, როდესაც საოცრად აღგზნებული, მთელ თავის ორატორულ ნიჭს არ იშურებდა **ქალაქის** მაშინდელი ხელმძღვანელობის სალანძღავად. მისი ლანძღვის ობიექტები კი იყვნენ **ქალაქკომის** პირველი მდივანი ნოდარ კომახიძე და **ქალაქის** აღმასკომის თავმჯდომრის მოადგილე ვაჟა წიკლაური. ორატორს, ალბათ აღელვებისაგან, გამორჩა რაიონის ხელისუფალთა მოხსენიება. რა მოხდა? ვინ დაგვიჯერებს, რომ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ შექმნილმა საქალაქო კომიტეტმა და ქალაქის აღმასკომმა გაცილებით მეტი მიუტევებელი ცოდვები ჩაიდინა, ვინემ რაიონის ნახევარსაუკუნოვანმა რაიონულმა კომიტეტმა: მაგრამ საქმე იმაშია, რომ ორატორის ლანძღვის ობიექტები ქართველები იყვნენ, და ვინაიდან მან რაიონულ ხელმძღვანელობაში ქართველი ვერ მოიძია, ვისაც ნახა, ის ლანძღა.

არ იფიქროთ, თითქოს ჩვენ ზემოხსენებული პირების დამცველებად გამოვდიოდეთ, მაგრამ ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს, რომ ლომის წილი არ ედოს მაშინდელ არეულობაში სწორედ რაიონის მაშინდელ ხელმძღვანელობას — რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ქამილ მამედოვს და ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარეს ჰაჯიმურად ხალილოვს, რომელთაც მარტიაშვილი არ შეხებია. არადა, სწორედ მათი მუშაობის პერიოდში გაიყიდა ქართული მიწები და რაიონში რეგისტრირებულია 20 ათასამდე არაქართველის ჩაწერა. მაშ რა მოხდა? რატომ დახუჭა თვალი მათ დანაშაულზე პატივცემული საზოგადოების ღრმადპატივცემულმა თვითმარქვია თავმჯდომარემ? თურმე, ნუ იტყვით, და სისხლმა უყივლა...

მისი პიროვნება რაიონში განვითარებულმა შემდეგმა მოვლენებმა უფრო გამოკვეთა და გამოაშკარავა. როდესაც შეიცვალა ხელმძღვანელობა, როდესაც მოხდა კადრთა ჩვენს სასარგებლოდ გადასინჯვა და ქართველმა ამ ძირძველ ქართულ მიწაზე თავი ჭეშმარიტ ბატონ-პატრონად იგრძნო, გაჩნდა იმედი იმისა, რომ რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ (პირველად მარნეულის ისტორიაში) გავიდოდა ქართველი კაცი. შეირჩა კანდიდატურა (იგი, სხვათაშორის, ხალხიდან მოდიოდა), რომელსაც ხმას აძლევდა ამომრჩეველთა სრული უმრავლესობა. თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ მარტიაშვილმა სესიამდე რამდენიმე დღით ადრე წამოაყენა ალტერნატივა და გაჩნდა რეალური საფრთხე, რომ არაქართველებიც მოახდენდნენ თავიანთი კანდიდატურის წამოყენებას და მოიპოვებდნენ გამარჯვებას, რადგან ქართველ ამომრჩეველთა ხმები გაიყოფოდა ორი კანდიდატურის ირგვლივ. და დაიწყო წერეთლის ს/მეურნეობის დირექტორის ვალერი გაბელიას ბრძოლა სკამისათვის ყველა დაშვებული თუ აკრძალული ხერხის გამოყენებით. ვალერი გაბელიას (რომლის მიერ ჩადენილი ცოდვები, მის სინდისზე იყოს) ზურგს უმაგრებდა ისევ და ისევ აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარე, რომელმაც აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მთელს მარნეულელ ქართველობას.

მხოლოდ მაშინღა დავინტერესდით კოსტავას საზოგადოების თავმჯდომარის ვინაობით და მისი წარსულით. მკითხველს არ შევაწუხებთ იმ მოვლენათა დეტალური ასახვით, რამეთუ მარნეულელებს კარგად მოეხსენებათ მტყუან-მართალი, ხოლო რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე ჩვენს წინააღმდეგ გამართულმა კამპანიამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ერთადერთი გაზეთი, რომელმაც შეძლო გაბელიასა და მაშინდელი ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ შექმნილი მაფიის გარღვევა და სიმართლე არ დამალა, „ლიტერატურული საქართველო“ იყო. დიდი წვალების შემდეგ რაიონში გაიმარჯვა სალმა ძალამ (ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრმა) და აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს როდენ მემარნიშვილი (ამაში დიდი წვლილი მიუძღვით რესპუბლიკის ეროვნულ ძალებს), და აი, როდესაც თითქოსდა ყველაფერი დაწყნარდა, საზოგადოების თავმჯდომარემ ვერა და ვერ მოისვენა. მასზეა ნათქვამი, თაგვმა თხარა, თხარაო.

წმინდა მერაბ კოსტავას სახელის მატარებელი ორგანიზაციის თავმჯდომარე აღმოჩნდა ვინმე ვახტანგ ბაირამოვი, ეროვნებით სომეხი, რომელიც დიდიდან რაიონში მოსვლისა ვახტანგ მარტიაშვილად აცხადებდა თავს (მისი გვარის გადაკეთება მოხდა 1985 წელს გარდაბნის მილიციის რაიგანყოფილებაში), ვგონებთ, ამით მის ზემოაღნიშნულ მოქმედებებს ფარდა ეხდება.

მარტიაშვილ-ბაირამოვმა დროებით დატოვა მარნეული და მარნეულელი ქართველობაც თითქოს დაშოშმინდა, კვლავ ერთად შეიკრა. ამას მოჰყვა პირველი დემოკრატიული არჩევნებისათვის მზადება. და, ალბათ, თითოეული ჩვენთაგანის ნების გამოხატულება იყო ის, რომ მარნეულში ხმის მიცემის უფლებით მოსარგებლე 4 ათასი ქართველიდან 3800-მა ხმა მისცა პოლიტიკურ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“. გვეგონა, გვეშველა, გაჩნდა იმედი, რწმენა. აკი ახლადარჩეული მთავრობაც მიტევებისა და შეკავშირებისაკენ მოგვიწოდებს. მაგრამ, ალბათ, თითოეული მარნეულელი ქართველისათვის მეხის გავარდნას უდრიდა, როდესაც 26 ქართველი მაფიოზად გამოაცხადეს და ბრალი დადეს მრგვალი მაგიდის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში. რა ხდება? თუკი ის 26 ქართველი, რომლის ზურგს უკან მთელი მარნეულელი ქართველობა დგას და რომელთა მხრებზეც გადადის მარნეულში შექმნილი ყველა სიმძიმე, იბრძოდა მრგვალი მაგიდის წინააღმდეგ, როგორღა მოხდა მარნეულში ქართველთა ასეთი არჩევანი? ამასაც ხომ ბატონი ბაირამოვი არ დაიბრალებს? (ცნობისათვის: ქართველ ამომრჩეველთა 4500 კაციდან „მრგვალ მაგიდას“ ხმა მისცა 3687-მა კაცმა)

ცილისწამება იმ 26 ქართველზე ზემოხსენებულ პირთა პროვოკაცია გახლდათ.

არ გვინდა ვინმემ ისე გაგვიგოს, რომ მერაბ კოსტავას საზოგადოების მარნეულის ფილიალის ზოგიერთ წარმომადგენელთან დაპირისპირებით ჩვენ მთელ ამ საზოგადოებას ვუპირისპირდებით, ღმერთმა დაგვიფაროს! ჩვენ შესანიშნავად გვესმის და ვაფასებთ იმ უდიდეს ღვაწლს, რომელიც გასწია სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოებამ და ჩვენ რომ მხარს ვუჭერთ მის საქმიანობას, მეტყველებს თუნდაც ის, რომ რაიონის მიერ ამ ფონდში მილიონნახევარი მანეთი იქნა გადარიცხული და ამაში ლომის წილი უდევს ეროვნული მოძრაობის მტრებად შერაცხულ იმ 26 ქართველს. თითქოსდა ეს მოუშუშებელი ტკივილი არ გვეყოფოდა, სულ ახლახანს რაიონულ გაზეთ „ქვემო ქართლში“ იგივე **ვახტანგ მარტიაშვილი-ბაირამოვი** თავს ერთპიროვნულ ლიდერად აცხადებს, რაიონის სრულ ბატონ-პატრონად თვლის, ქრისტიანული მორალით გვმოძღვრავს და ძველი ცოდვების მიტევებას გვპირდება. საინტერესოა, რომელ ცოდვებზე საუბრობს თვითმარქვია თავმჯდომარე. რა არის ეს? ბედის ირონია თუ კვლავ ახალი დაპირისპირების მცდელობა? ალბათ, ერთიც და მეორეც. მარნეულის კოსტავას საზოგადოების გამგეობის ბევრი წევრი ჩვენს გვერდითაა გაზრდილი; ჩვენ ყოველთვის საერთო გვქონდა ჭირიც და ლხინიც. მათ საკმაო გამოცდილება აქვთ იმისა, რომ უხელმძღვანელონ ამ ორგანიზაციას (მით უფრო, რომ მათი უმრავლესობა ამტკიცებს, მარტიაშვილი ჩვენ არ აგვირჩევიაო) ჩვენ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ მათთან და ერთად ვიბრძოლებთ თავისუფალი საქართველოსათვის, თუ ისინი განთავისუფლდებიან იმ პროვოკატორებისა და დეზინფორმატორებისაგან, რომლებიც ამ საზოგადოებაში არიან.

გვწამს, რომ მარნეულელი ქართველობა კვლავ ერთ მუშტად შეიკვრება.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

**სახალხო ფრონტის მარნეულის რეგიონული გამგეობა**
**მარნეულის ასოციაცია „ქვემო ქართლის“ გამგეობა**


Форма № 1

ЗАЯВЛЕНИЕ О ВЫДАЧЕ ПАСПОРТА

1. Мартиашвили Вахтанг Иванович
(фамилия, имя, отчество)
2. 11.I 1955 года 3. с. Колоури
(число, месяц, год рождения) (место рождения — село, поселок, город, район, область,
Гурджаанского р-на 4. армянин
край, республика (по существующему административно-территориальному делению)) (национальность)
5. [illegible]
(семейное положение — если состоит в браке, указать фамилию, имя, отчество
[illegible] 20/II 1985
жены, мужа, каким органом ЗАГСа и когда зарегистрирован брак, фамилия,
имя, отчество отца и матери)
6. пос. [illegible] Гурджаанского р-на
место жительства — наименование города, поселка, села, района, улицы, дом №, корпус №, кв. №)
7.
(состоял ли ранее в иностранном гражданстве (подданстве) и когда принят в советское гражданство)
когда из какой страны прибыл в СССР в порядке репатриации, переселения и т. п.)
Прошу выдать (обменять) паспорт в связи [illegible]
(указать причину)
16 марта 1985 г.
(подпись)
Подпись гр. Мартиашвили В. И. заверяю
(фамилия)
Место для фотокарточки заявителя в возрасте от 16 до 25 лет
Паспорт выдать на основании Паспорта VI-ТЧ-533827 выдан Гурджаанским РОВД 12/XI 1977 г. и свид. о пер. фамилии
(наименование документа, серия, номер, кем и когда выдан)
I-ТЧ-259994 Гарданским р/бюро ЗАГСа 8/III 85 г. и
Начальник паспортной службы
свид. о рожд. VI-ТЧ 391301 Гурджаанским р/бюро ЗАГСа 22/III 85 г.
Паспорт оформил паспортист
(подпись)
Паспорт серии XIV-ТЧ № 661606
от «20» марта 1985 г. получил(а)
(подпись)

# საკვირველი აი, ეს არის!

**კომუნისტური** პარტიის 70 წლიანი დიქტატურის შემდეგ საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები. ახალმა უზენაესმა საბჭომ მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონები და დადგენილებები, რომლებმაც დიდი როლი უნდა შეასრულონ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში.

აქტიურ საქმიანობას ეწევა აგრეთვე რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც დიდი ამოცანები აქვს გადასაჭრელი იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება.

დიახ, მეტად დიდი და რთული ამოცანების წინაშე დგას მთავრობა. ამგვარ სიტუაციაში მით უფრო იწვევს გაოცებას შემდეგი ფაქტი:

გასული წლის 25 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა მისი თავმჯდომარე, ბატონი თენგიზ სიგუა.

სხდომაზე განიხილეს... 1988 წელს სომხეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციისთვის, სომხეთისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 მარტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ მიწისძვრის შემდგომ ხანებში **„კარგად მუშაობდა ქალაქ კალინინოში მიწისძვრის შედეგად დანგრეული ობიექტების აღდგენაზე რესპუბლიკური გაერთიანება „საქსამოქალაქომრეწვმშენის“ „საქსომხეთმშენის“ ტრესტის კოლექტივი, რომელიც მუდამ იმარჯვებდა სომხეთის დახახმარებლად ჩამოსული ქვეყნის 26 სამშენებლო ორგანიზაციას შორის. და აი, მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც საქართველოს წარგზავნილებმა ღირსეულად გაართვეს თავი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დაძაბულ გეგმას. მეორე ადგილი დაიკავეს სხვა რესპუბლიკების კოლექტივებთან შეჯიბრებაში. მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ ზოგიერთმა სამინისტრომ და უწყებამ შეანელა ყურადღება მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციაში, სომხეთისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 2 მარტის დადგენილებით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებისადმი, მესამე კვარტლიდან დასახულმა ტემპმა შესამჩნევად იკლო... გააანალიზა რა შექმნილი სიტუაცია, მთავრობამ განსაზღვრა სომხეთში სამშენებლო სამუშაოთა ტემპის დაჩქარების, მოძმე რესპუბლიკის დახმარების მთელი გათვალისწინებული პროგრამის წარმატებით დამთავრების კონკრეტული ღონისძიებანი“** (იხ. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 28. XII. 1990 წ.).

ამგვარი ინფორმაციის მიღების შემდეგ, არასასიამოვნოა, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას.

ვიკითხოთ პირდაპირ:

ნუთუ საქართველოს მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების „შესრულების მიმდინარეობის“ საკითხზე **უფრო გადაუდებელი საქმე, საზრუნავი, პრობლემა არ ჰქონდა?!**

თქმა არ უნდა, ორი წლის წინ სომხეთში მართლაც საშინელი, კატასტროფული ხასიათის მიწისძვრა მოხდა.

როგორც ცნობილია, ამ უბედურებისას მეზობელ ხალხს დახმარების ხელი პირველმა ქართველმა ერმა გაუწოდა. მთელი საქართველოდან იგზავნებოდა მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე, ტანსაცმელი, ფულადი თანხები (ბანკში სპეციალური ანგარიში გაიხსნა), სამშენებლო მასალები... ტრაგედიის პირველივე საათებში დაზარალებულ რაიონებში გაემგზავრნენ ექიმები, მაშველი რაზმები, მშენებლები...

მალე, დანგრეულ პუნქტებში აღსადგენი სამუშაოების ჩასატარებლად შეიქმნა სპეციალური ტრესტი „საქსომხეთმშენი“....

ბოლო ხანებში სტიქიამ საქართველოც არ დაინდო. ზვავებმა, მეწყერმა განსაკუთრებით სვანეთი, მთიანი აჭარა დააზარალა. დაიწყო რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ათასობით ადამიანის ჩამოსახლების მტკივნეული, რთული პროცესი. სამშენებლო მასალების დეფიციტის, მშენებლების სიმცირის გამო ჯავახეთში ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ დარჩა მრავალი „ჩასახლებული“.

და ამ სიტუაციაში (გავითვალისწინოთ ის უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობაც, რომელშიც საქართველო იმყოფება) მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი განიხილავს და გამსაზღვრავს **„სომხეთში სამშენებლო სამუშაოთა ტემპის დაჩქარების, მოძმე რესპუბლიკის დახმარების მთელი გათვალისწინებული პროგრამის წარმატებით დამთავრების კონკრეტულ ღონისძიებებს“!**

გვიჭირს ყოველივე ამის თქმა, რადგან ყველასათვის ცნობილია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დიდი პატრიოტიზმი, ეროვნული პოზიცია. მაგრამ, ამასთან გაოგნებული ვართ აღნიშნული დადგენილებით.

რასაკვირველია, დიდი ნიჭია გაჭირვებულის დახმარება, გვერდში ამოდგომა (და ეს ნიჭი ყოველთვის ჭარბად ჰქონდა ქართველ ხალხს), მაგრამ, როგორც იტყვიან, მეტისმეტი არაფერი არვარგა. როდესაც თვითონ სხვაზე არანაკლებ გიჭირს, არანაკლებ ხარ დანგრეული, არანაკლებ გყავს მისახედ-საპატრონო ხალხი, პირველ ყოვლისა, ამ შენს გაჭირვებას, დანგრეულს, ხალხს უნდა მიხედო!

ამიტომ, ვფიქრობ, დროებით მაინც უნდა შეჩერდეს აღნიშნული პროგრამის „წარმატებით შესრულების“ სამუშაოები, ხოლო ტრესტ „საქსომხეთმშენს“, ვფიქრობ, დადგა დრო, სხვა სახელი დაერქვას, და რაც მთავარია, აქ, საქართველოში მიხედოს საქმეს (სხვათა შორის, ტრესტ „საქსომხეთმშენის“, მისი „აქეთ“, საქართველოსკენ „გადმოსროლის“ საკითხი ადრეც დაუყენებიათ, კერძოდ, მიტინგებზე, და დაუყენებიათ იმ ადამიანებს, — მაშინ ოპოზიციონერებს, — რომლებიც დღეს ამ ტრესტის „იქით“ წარმატებით ფუნქციონირების კონკრეტულ ღონისძიებებს განიხილავენ და საზღვრავენ! საკვირველიც, აი, ეს არის!).

დაბოლოს, ჩვენი მოთხოვნა, ალბათ, არც სომეხი მეგობრებისთვის უნდა დარჩეს გაუგებარი და საწყენი.

**ფელიქს კოჭიაშვილი**

# ერის მიმართ ჩადენილი ბოროტება

**მტკიცება** არ უნდა, რომ ეკოლოგიური მდგომარეობა მთელ პლანეტაზე ერთობ სავალალოა. კაცობრიობა მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა, რომ მის მიერ გაჩაღებული დაუფიქრებელი ინდუსტრიულ-ტექნოკრატიული საქმიანობა გარდაუვალ საფრთხეს უქმნის ბუნებამ ისტორიულად დამკვიდრებულ წონასწორობას. ეს ბოროტება თავის მხრივ ისევ ადამიანს დაემუქრა.

არსებობს დამაჯერებელი მოსაზრება, რომ ადამიანის ჯანმრთელობას განსაკუთრებულ ზიანს საკვები პროდუქტები აყენებს. საკვები პროდუქტებით ადამიანის ორგანიზმში ხვდება მომწამლავი ნივთიერებები. მათ შორის განსაკუთრებით საშიშია: ლითონები (ტყვია, კალიუმი, სპილენძი, დარიშხანი, ვერცხლისწყალი, თუთია), ნიტრატები და პესტიციდები.

საკვები პროდუქტების დაბინძურება ამ მავნე ნივთიერებებით რამდენიმე გზით ხდება: ნიადაგში შეტანილი სასუქებით; მცენარეთა დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ გამოყენებული შხამქიმიკატებით, ავტომანქანებისა და ქიმიური ქარხნების გამონაბოლქვებით, სეტყვასაწინააღმდეგო რაკეტების მოქმედებით, გაჭუჭყიანებული ატმოსფერული ნალექებით და სხვა.

ხილმა, ბოსტნეულმა და ბაღჩეულმა დაკარგა ჩვეული გემო, არომატი, და ვიტამინების ნაცვლად, ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებებით გამდიდრდა. საქმეში ასე თუ ისე ჩახედული მკითხველისათვის, ცხადია, რომ ამის მიზეზია მინერალური სასუქების არასწორი გამოყენება. ხშირ შემთხვევაში რაიონების მომარაგება ხდება მიწოდების გრაფიკის დარღვევით. ნიადაგებში სასუქების შეტანამდე უნდა ხდებოდეს ნიადაგების პასპორტიზაცია (ნიადაგების ნაყოფიერების, მჟავიანობის, სტრუქტურის და სხვა მახასიათებლების დადგენა), რაც საქართველოში შესაბამისი დაწესებულების მიერ ჩატარებულია უხარისხოდ ან საერთოდ არ არის გაკეთებული. ამიტომ, რაიონებს ეგზავნება სასუქის არა ის სახეობა, რომელიც მოცემული რეგიონისათვის არის საჭირო. სასუქებს ნიადაგში შეაქვთ ჭარბი რაოდენობით, რაც ხდება მხოლოდდამხოლოდ გამორჩენისა და ანგარების მიზნით. სასუქებით უზომოდ გაჯერებული ნიადაგიდან მცენარე ძალაუნებურად 10-20-ჯერ მეტ რაოდენობას ამოკრებს, ვიდრე მას ესაჭიროება. სწორედ ეს ზედმეტი რაოდენობა მავნე ნაერთებისა გროვდება მცენარის ღეროსა და ფოთლებში და ხვდება ადამიანის ორგანიზმში. აზოტოვანი სასუქების შემთხვევაში ორგანიზმში შედის ნიტრატები, რომლებიც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მიკროფლორის მეშვეობით გარდაიქმნება მომწავლელ ნიტრატებად. ნიტრატები კი იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, რასაც მოსდევს თავბრუხვევა. ქოშინი, მხედველობის მოშლა, ჟანგბადის მიწოდების შეფერხება ორგანიზმის ქსოვილებისადმი. მეცნიერები იმასაც ვარაუდობენ, რომ ნიტრატები ორგანიზმში წარმოქმნიან ავთვისებიანი სიმსივნეების გამომწვევ ნივთიერებებს.

მკითხველს, ალბათ, აინტერესებს — მოწმდება თუ არა ჩვენთან მავნე ნივთიერებების შემცველობა საკვებ პროდუქტებში, ვიდრე მას მომხმარებელი მიიღებს?

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის და საკვები პროდუქტების კონტროლს მავნე ნივთიერებებზე ზღვრული დასაშვები კონცენტრაციების მიხედვით უნდა ახორციელებდნენ:

ა) „საქსოფქიმიის“ რესპუბლიკური გაერთიანების რაიონული ლაბორატორიები.

ბ) საქაგრომრეწვის რადიოლოგიის ინსტიტუტი.

გ) სანეპიდსადგურები.

დ) საკავშირო აგროქიმიის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი.

გამოირკვა, რომ ანალიზები კეთდება ხშირად ზერელედ, დაბალხარისხოვნად და შერჩევით. საკონტროლო შემოწმებამ ზოგიერთ პროდუქტში აჩვენა, რომ მძიმე ლითონების შემცველობა აღემატებოდა ზღვრულ დასაშვებ ნორმებს. მეტიც, ხორბალში აღმოჩნდა პესტიციდის სახეობა, რომლისკვალიც კი არ უნდა იყოს მასში. სრულიად ნათელია, რომ აქაც ნაცნობი განუკითხაობა სუფევს.

მიმდინარე წლის თებერვალში სსფ ქიმიის კომისიამ ერთ-ერთ სხდომაზე მოიწვია იმ ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთაც ევალებათ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და მათი გადამუშავების პროდუქტებში ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებათა განსაზღვრა.

ყველასათვის აღმოჩენად იქცა კვების პროდუქტების სერთიფიკაციისა და ხარისხის გამოცდის რესპუბლიკური ცენტრის არსებობა, რომელიც, სამწუხაროდ, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მხოლოდ ქაღალდზე ფიგურირებდა. ცენტრის დირექტორთან ბატონ თ. ჭელიძესთან გასაუბრებისას გამოირკვა, რომ დაახლოებით ორი წლის წინ საკავშირო ზემდგომ ორგანოებში მიიღეს დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკების სახაგრომრეწვებში რესპუბლიკური ცენტრების შექმნის შესახებ, სადაც დარგობრივი ლაბორატორიებისაგან განსხვავებით, დაბინძურების ხარისხს განსაზღვრავდნენ საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე ყველა სახის სასურსათო პროდუქტში. ამ დადგენილების საფუძველზე, გასული წლის იანვარში, საქართველოს სახაგრომრეწვმა გასცა ბრძანება საქართველოში რესპუბლიკური ცენტრის შექმნის შესახებ; დაუნიშნა მას დირექტორი, ხოლო ცენტრის „ჩამოყალიბება“ უხარისხობის მიზეზით შეჩერდა...

სსფ ქიმიის კომისიამ გადაწყვიტა შეფობა გაეწია რესპუბლიკური ცენტრისათვის. მისი ჩარევის შედეგად აგრომრეწვის ხელმძღვანელობამ გამოჰყო თანხები რესპუბლიკური ცენტრის ლაბორატორიული ტექნიკით აღჭურვის, კადრებით ნაწილობრივ დაკომპლექტებისა და არენდით აღებული შენობის (200 კვ. მ) შესაკეთებლად. ამასთან ერთად, სსფ-მ დასვა საკითხი საქსახაგრომრეწვის წინაშე რესპუბლიკური ცენტრის აგრომრეწვიდან გამოყოფისა და მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში გადაყვანის მიზანშეწონილობის შესახებ. კვების პროდუქტების, როგორც მწარმოებელი, ისე მაკონტროლებელი დაწესებულებების ერთ ორგანიზაციაში არსებობა გარკვეულწილად ზღუდავს ამ უკანასკნელს გააკეთოს ობიექტური დასკვნები.

დღეისათვის რესპუბლიკური ცენტრის მიერ სხვადასხვა გზით (გამოფენებიდან, უცხოური ფირმებიდან და სხვა) შეძენილია უნგრული, გერმანული და სხვა უცხოური წარმოების სპეციალური უახლესი აპარატურით აღჭურვილი სპეციალური ლაბორატორიები; შერჩეული არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც ლაბორატორიის ამოქმედებისთანავე, შესაბამისად, დაიკავებენ რესპუბლიკურ ცენტრში საშტატო ერთეულებს.

დაბოლოს, აუცილებლად მიგვაჩნია, შემოღებულ იქნას კანონი, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესდება მავნე ნივთიერებებით გაჭუჭყიანებული კვების პროდუქტების წარმოების, გადამუშავების, რეალიზაციისა და არასწორი სერთიფიცირებისათვის. მით უმეტეს, რომ ცნობილია, — საწარმოების მიერ მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანება სამრეწველო ნარჩენებით წყლის (მდინარეების, ტბების, წყალსაცავების) და ჰაერის დაჭუჭყიანება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ან გამოიწვიოს თევზის მასიური სიკვდილი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე. (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი № 251).

**სსფ ქიმიის კომისია**

**ჰონორარი გადაირიცხოს სსფ-ს ანგარიშზე.**

# ვიდრე სრულ დამოუკიდებლობას მივაღწევდით

**ახალმა** ეროვნულმა პარლამენტმა უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო, რასაც ზურგს უმაგრებს ძველი, იმპერიული სტრუქტურები. ისიც უდაოა, რომ ამ სტრუქტურების დროულად მსხვრევაზე დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი მომავალი. ამ სტრუქტურებისაგან სრულად განთავისუფლება მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში განხორციელდება. მაგრამ არის სტრუქტურები, რომელთა მსხვრევა ახლავე უნდა დავიწყოთ და რაც შეიძლება მალე უნდა გავთავისუფლდეთ მათგან. ჩვენს წერილში ერთ ასეთ სრულიად ზედმეტ სტრუქტურაზე გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ყველასათვის ცნობილია, რომ რესპუბლიკებში დაცული ყოველგვარი დისერტაცია სათანადო გაფორმების შემდეგ ცენტრში იგზავნება, სადაც მას ამტკიცებს ან არ ამტკიცებს უმაღლესი საატესტაციო კომისია — ВАК-ი. ასე რომ, ძველ ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიაში, ქართულ ფილოსოფიასა და ქართული ხელოვნების ისტორიაში (სხვას რომ თავი დავანებოთ!) დაცული სადისერტაციო ნაშრომები საბოლოოდ მოსკოვმა უნდა დაამტკიცოს, სადაც საექსპერტო კომისიაში შეიძლება ამ დარგების ერთი სპეციალისტიც კი არ მოიძებნოს. ეს ხომ აბსურდია, მაგრამ ფაქტია და მას ვერსად გავექცევით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვიდრე სრულ დამოუკიდებლობას მივაღწევდეთ და ჩვენთვის მისაღებ სრულიად ახალ სტრუქტურებს შევქმნიდეთ, საჭიროა გარკვეული პრინციპების შემუშავება ხელოვნურად შექმნილი სიძნელეებიდან თავის დასაღწევად. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში გვინდა შევეხოთ ერთ მტკივნეულ საკითხს, რაც ცენტრის ბიუროკრატიულ დიქტატთანაა დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს იმ სადისერტაციო ნაშრომების ავტორთა საკითხი, რომლებიც ცენტრის ბიუროკრატიული დიქტატის მსხვერპლი გახდნენ. აქ საუბარი ეხება სადისერტაციო ნაშრომებს (ძირითადად სადოქტოროებს), რომლებიც საქართველოში იქნა დაცული, მაგრამ საბოლოოდ მოსკოვში, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ არ დაამტკიცა. მაშასადამე, ამ ნაშრომების ავტორები უსაფუძვლოდ დაისაჯნენ. იშვიათი იქნება მეცნიერების დარგი, სადაც ასეთი უსაფუძვლოდ დასჯილი მკვლევარები არ მოღვაწეობდნენ. შეიძლება გაჩნდეს ასეთი კითხვაც — განა ყველა უსამართლოდ დაისაჯა და ამ შემთხვევაში რამდენად იქნება მართებული ქომაგად დავუდგეთ ყველა ასე დასჯილს? ამ შემოკამათებაში იქნება სიმართლის ნაწილი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დასჯილებთან შედარებით გაცილებით მეტია სრულიად დაუმსახურებელი ნაშრომებისათვის აუნთია „მწვანე შუქი“ მოსკოვს.

ასე რომ, ერთი მხრივ ჩვენი გულუბრყვილობითა და მეორე მხრივ მოსკოვის წყალობით, ჩვენ დიდი ხანია ვეგუელით და ვიტანთ ჩვენს გვერდით სრულიად დაუმსახურებელ მეცნიერებათა კანდიდატებსა და დოქტორებს. ახლა კი გვაქვს გამომდინარე აქედან, მორალური შესაძლებლობა მატერიალური და, კომპენსაცია მივცეთ ცენტრის ბიუროკრატიული სტრუქტურით დასჯილ იმ მკვლევარებს, რომელთა მეცნიერულ კომპეტენციაში ეჭვი არ გვეპარება. მათ რიცხვს უნდა მიეკუთვნონ აგრეთვე ის მკვლევარები, რომელთაც, მართალია, სადისერტაციო ნაშრომები წარმატებით დაიცვეს, მაგრამ სადისერტაციო ნაშრომი, დაცვის მასალები და შესაბამისი დოკუმენტაცია შეგნებულად არ გააგზავნეს ცენტრში.

როგორ და რა სახით შეიძლება ამ სახის მკვლევართათვის კომპენსაციის გაკეთება? ჯერჯერობით ორი სფერო გვეგულება, სადაც შეიძლება განხორციელდეს ეს სურვილი და დადებითი პასუხი გაეცეს დასმულ კითხვას. ასე მაგალითად, მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების ხელმძღვანელობას მიეცათ უფლება თანამშრომლებს მისცენ ხელფასი მათი მეცნიერული კვლევის ხარისხის შესაბამისად. ამ დროს განსაზღვრულია ხელფასის მინიმალური და მაქსიმალური ანაზღაურებები. სწორედ ეს იძლევა საშუალებას უსაფუძვლოდ დასჯილთა მდგომარეობის გასათვალისწინებლად. რამდენადაც ინსტრუქცია დაწესებულების ხელმძღვანელს მანევრირების უფლებას აძლევს, მას შეუძლია გაათანაბროს ოფიციალური და არაოფიციალური დოქტორნების ხელფასები. ასევე უნდა მოვიქცეთ იმათ მიმართაც, ვინც სადისერტაციო ნაშრომები წარმატებით დაიცვეს, მაგრამ შესაბამისი საბუთები ცენტრში შეგნებულად არ გააგზავნეს და ამასთან მათი მეცნიერული კომპეტენცია ეჭვს გარეშეა.

ჩვენ აქ იმპერიული მმართველობის ერთ მავნე გამოვლინებას შევეხეთ, რომლის მსგავსთა თანდათანობით მსხვრევამ ხელი უნდა შეუწყოს სანუკვარ მიზანთან მიახლოებას. როგორც ფსიქოლოგიურად, ისე მორალურად.

**მიხეილ მახარაძე.**

# „ნუ ინოდები განმაქიქებელ...“

**ბატონო** გია თასოევო, თქვენი პასკვილი რომ წავიკითხე, ჯერ არავითარი სურვილი არ გამიჩენია პასუხის გაცემისა, რადგან ეს მორიგი არასერიოზული, ბალღამით ნაწერი შურისმაძიებლური წერილის ავტორისათვის ყოველგვარი ლოგიკური პასუხი იქნება ამაოება ამაოთა.

მაგრამ მკითხველის წინაშე უეჭველად მმართებს ზოგიერთი განმარტების მიცემა იმ მძიმე ბრალდებების გამო, რომელთაც თქვენ მიყენებთ.

უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანულ შემწყნარებლობას რომ მიქადაგებთ, თვითონ თქვენს ნაწერში არ იგრძნობა არავითარი შემწყნარებლობა, არც რაიმე პატივისცემა შრომისა, პიროვნებისა და ჭეშმარიტებისა. ეს ჩემთვის სამწუხარო აღმოჩენაა, რადგან „ჟურნალისტების მარაქაში“ შემთხვევით მოხვედრილს ვერ გიწოდებთ, ნიჭიერი ჟურნალისტი ხართ, თქვენი ეროვნული წერილები მომწონს და ვისურვებდი, რომ თქვენი მოქალაქეობრივი ტაქტიც ასეთ დონეზე მდგარიყო, ასე უხეშად არ გესარგებლათ იმით, რომ სამართლებრივ იმპერიაში არა ვართ და პიროვნების დაცვის კანონი არ გაგვაჩნია.

თქვენ ისევ პაკელიანის დასაგმობი მოქმედებით იწყებთ და ბრალს მდებთ იმაში, რაშიაც ბრალი არ მიმიძღვის, როცა მავალებთ, რომ მქონდეს ისეთი ზეგავლენა, არც ერთმა ჩემმა ნათესავმა დანაშაული არ ჩაიდინოს. რომ შემეძლოს, ამ ზეგავლენას მთელს ერზე გავავრცელებდი, მაგრამ ვფიქრობ, თქვენთვისაც კი მიუღწეველი იქნება ოცნება, რომ არ ჩაიდინოს გაუთვალისწინებელი დანაშაული ვინმე არასრულწლოვანმა ნათესავმა, რომელთანაც წლობით არავითარი კონტაქტი არა გქონიათ.

სასამართლოს ფართოდ გაუღია კარი, ლაქსესის გულმოდგინებით იმოწმებთ პროცესის მასალას, ასევე პაკელიანის ერთ ცრუ განცხადებას, დაზარალებულს იშვიათად ვხვდებოდიო, „უნიჭო ზღაპარს“ (?) უწოდებთ სავსებით რეალურ ფაქტს იმის თაობაზე, თუ როგორ ავიწროებდნენ, ქუდიც კი წაართვეს პაკელიანს და ა. შ., ხოლო ჩემს მოკლე წერილში მინისტრისადმი მაინც ვერ გიპოვნიათ თხოვნა სასჯელის შემსუბუქებაზე, რაც ნამდვილად არ მითხოვნია (თქვენც ხომ ითხოვდით დახვრეტას, რაც ალბათ მეტისმეტი გადახვევა იქნებოდა არსებული კოდექსიდან). მინისტრს მივმართე სულ სხვა მიზეზით: კანონის დარღვევად ჩავთვალე მოსამართლისა და ზოგი დამსწრის აგრესიული მოქმედება (დამამცირებელი მიმართვა, მუქარა, საცემრად გაწევა). მოსამართლის საპასუხო თხზულებაში, თავის მართლებასთან ერთად, ერთი საოცარი მომენტია: მართლმსაჯულების შეურაცხყოფას მაბრალებს, და ნუთუ ის ერთი კაცი განსახიერებაა მართლმსაჯულებისა? შენიშვნა იმ ერთს მოსამართლეზე მქონდა და მაშ საიდან მოდის მართლმსაჯულების წმინდა მცნების შელახვის ბრალდება?

მაგრამ გავანებოთ თავი პაკელიანის საქმეს, ის ბიჭი სამართლიანად დაისაჯა და მძიმე პირობებში იხდის სასჯელს. მე არც პროცესს დავსწრებივარ და არც სასჯელის შემსუბუქება მითხოვია, ამით მორჩა ეს საქმე. მაგრამ ვიყოთ გულახდილი: ეს პროცესი თქვენ მხოლოდ საბაბად გჭირდებოდათ, თქვენი ძირითადი ბრალდება ეხება ტაქსილის „სახალისო ბიბლიას“, რაც ნამდვილად დაუკრეფავში გადასვლაა. ვერ გავიგე, პაკელიანის პროცესია თუ რეცენზია?

ტაქსილის „სახალისო ბიბლია“ არ უნდა მეთარგმნა, ამას დიდი ხანია ვნანობ, ამაში მართალი ხართ, ბ-ნო თასოევო. მაგრამ უფლებას ვიტოვებ ისიც განვმარტო, რატომ მოხდა ეს.

ჯერ ერთი, ეს წიგნი ყოფილი კარდინალის, რელიგიის მკვლევრისა და მწერლისა, მაინც არსებობს, ითარგმნება ხალხთა ენებზე და, აგერ, მეხუთედ გამოვიდა მოსკოვში, სადაც ბიბლია ჩვენზე ნაკლებად არ სწამთ; მერედა, ეს იყო ჯერ კიდევ მძიმე დრო, როცა აშკარად ბიბლიის გამოცემა კი არა, ხსენებაც „არ შეიძლებოდა“, და აკადემიის გამომცემლობას „სუკიდან“ მუქარით დაურეკეს, „მავნეთური ხელნაწერი“ რელიგიური წიგნი ყოფილა და რატომ გამოეცითო! მე კი მინდოდა მკითხველთა ფართო საზოგადოებას გაეცნო ბიბლიის სრული და სწორი შინაარსი, თუნდაც ათეისტურ ფონზე. ამ მიზნით ვთარგმნე და ჩემი განმარტებების დართვით შევიტანე ქართული კლასიკური თარგმანი ციტატების სახით, უფრო ვრცლად, ვიდრე ტაქსილის დედანშია. წიგნის გარეკანზე, მთელს ფონზე გამოვიტანე მიქელანჯელოს „მოსე“, რაც უკვე ჩემი პოზიციაა. ტექსტსაც ჩემი სურვილისამებრ დავურთე უამრავი ილუსტრაცია, რაც თავისთავად წიგნის სერიოზულობაზე მიუთითებს (მიქელანჯელოს, რაფაელის, რუბენსის და სხვა გიგანტების სურათების რეპროდუქციები), დავურთე „ბიბლიის მცირე ლექსიკონი“, „ბიბლიის საანდაზო საგანძური“, ვრცელი წინასიტყვაობა... ამ წინასიტყვაობაზე მიყენებთ ისეთ ბრალდებებს, რომ კონსტანცის კრება ალბათ კოცონს მომისჯიდა. მაგრამ მთელს ნარკვევში სულ რამდენიმე სტრიქონია ათეისტური, — რასაც თქვენ ხალისით იმოწმებთ, — დანარჩენი, მთელი 20 გვერდი კი ბიბლიის დიდება, მისი არსის კვლევაა. როცა კუშტად მისაყვედურეს: ეს ათეისტური აღარაა, რისთვის აქებთო რელიგიურ წიგნს, მე იმ სტრიქონებით ვიმართლე თავი, შეფარვით კი საქმე მაინც გაკეთდა. ჯერ მაქსიმ გორკიც კი მოვიშველიე: ჩვენ გვასწავლიდნენო შოპენჰაუერი და მეჩნიკოვი, ფლობერი და დარვინი; სტენდალი და ჰეგელი, გვასწავლიდაო ბიბლია. მერე იწყება ნარკვევი: „ბიბლია — ბუმბერაზ მოაზროვნეთა მასწავლებელი, ჩვენი ბიბლიოთეკის მშვენება... ადამიანის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი... რატომ არ უნდა გავეცნოთ ბიბლიას?.. ესაა თავისებური ნიმუში მთავარ გმირად ხალხის გამოყვანისა, მისი ბელადებიც ხალხის წიაღიდან გამოდიან... ბიბლია ერთნაირად საყურადღებოა ყველა თაობისათვის, როგორც მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული... შემოქმედებითი გენიის ისეთივე ნაყოფი, როგორიცაა „ღვთაებრივი კომედია“, „დაკარგული სამოთხე“, „ვეფხისტყაოსანი“. მხოლოდ საქმის უმეცართ შეუძლიათ იფიქრონ, რომ ეს „ებრაელთა წიგნია“ და მეტი არაფერი. მესიანობა, ქრისტიანობა ხომ ებრაელი ხალხის წიაღში ჩაისახა და მას გამოეყო! მერე, ქრისტიანულმა ეკლესიამ გამოაცხადა კანონიკურ წიგნად... განა ექვთიმე ათონელი, გიორგი, სტეფანე ათონელი, სხვა ყველა დიდი ქართველი თუ არაქართველი, ვინც ეგზომ დიდი შრომა გასწია ბიბლიის თარგმნა-გადაწერის საქმეში, ქრისტიანები არ იყვნენ? ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ“. მერე მოცემულია სრულიად ნორმალური ნარკვევი ბიბლიური წიგნების შედგენილობაზე და ა. შ.

ასეთივე სულისკვეთებითაა დაწერილი „ბიბლიის მცირე ლექსიკონი“ და „ბიბლიის საანდაზო საგანძური“. რატომ ეს **მთავარი კურსი** არ შენიშნეთ, ბ-ნო გია, როცა ხელაღებით მაცხადებდით ათეისტად? კომპრომისები არის, ცუდი სტრიქონები არის, მაგრამ ესეც ეზოპეს ენა იყო, მთელი არსებით კი ვიყავი, ვარ და ვიქნები იმ რწმენისა, რაც მოეთხოვება ჭეშმარიტ ქართველ ქრისტიანს, ეს შეგიძლიათ შეამოწმოთ ათეული წლების განმავლობაში მთელს ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული ასობით ნარკვევისა თუ ლექსის მიხედვით, სადაც ჩვენი ტაძრებისა თუ საეკლესიო მოღვაწეების დიდებაა მოცემული. ჩემი სადიპლომო ნაშრომიც იოანე-ზოსიმეს და ქართული ქრისტიანობის სიმწინდეს ეძღვნა, შემდეგ ის „მნათობში“ დაიბეჭდა. საქმით და სიტყვით დაიცავს მკრეხელ-მიმტაცებელთა ხელყოფისა და განსხვავებისაგან ქვემო ქართლის, აფხაზეთის, ბორჯომის, სამაჩაბლოს ეკლესიები (მათ შორის კუსირეთის ღვთისმშობლის შებილწვის ფაქტის აღნიშვნამ რატომღაც გაგაღიზიანათ). არაერთი სტატია ვუძღვენი ჰუჯაბს, ვინახულე ტაძარი, გამოდის წიგნი, და ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ განსხვისებისაგან დაგვეცვა საერთო ძალისხმევით. ასეთივე კურსია გატარებული და სიუჟეტებში ჩაქსოვილი ისტორიულ რომანებში „სვანეთის თეთრი ქუდი“, „სვეტი ნათლისა“ და ა. შ. აქ კლდეა ჩემი საძირკველი, რას იტყვით ამაზე? ვერაფერსაც ვერ იტყვით! თავისი თავის შეცნობა არავის აწყენს, მაგრამ მე რომ მიუტევებელ მკრეხელობას მწამებთ, — ქრისტეს პატივს იჩემებო, თქვენ რატომ მართლა იჩემებთ სოკრატეს პატივს?

თქვენ ვერ დამწამებთ წმინდა წიგნების უპატივცემლობას, ძვირფასო გია!

რაც შეეხება „ბალთაზარ კოსას“ თარგმანს, რა პოზიციიდან მდებთ ბრალს? კოსა იყო უზნეო და უღირსი მღვდელმთავარი, ნამდვილი ურჩხული, რომელიც თვითონ ეკლესიამ გადააყენა და ამოშალა პაპთა სიიდან, — ჩემგან რას ითხოვთ? **ესაა ისტორია, და მეც ვებრძვი არა ქრისტიანობას, არამედ ქრისტეს უღირს მსახურებს**, მაგალითად, ალექსანდრე მეექვსე, რომელიც საკუთარ ასულთან კავშირში და ათას დანაშაულშია მხილებული. თუ იმ წიგნს დავურთე ლექსიკონი, საძიებელი, 300 პაპის მოკლე დახასიათება და დათარიღება, რა არის ამაში ცუდი? ეს ყოველ ნორმალურ მკითხველს ესაჭიროება, ძვირფასო გია! საერთოდ, რა საკამათოა ეს, **მსოფლიოში აღიარებული წიგნები რომ ვთარგმნე?** ნუთუ ასეთი ფაქიზი სმენა გაქვთ, მხოლოდ ვოდევილებს ითმენთ? რატომ არაფერს იტყვით მსოფლიო კლასიკის ათ-თორმეტ ტომზე, რომ მითარგმნია, „ქცევის კულტურაზე“, „ქეთევან ქართველზე“, რომელიც არქაული გერმანულიდან ვთარგმნე, როგორც ქრისტიანობის აპოლოგია წმინდა დედოფლის სახით? თქვენ ეს არ გინდათ, და ვიცი, რაც გნებავთ, მაგრამ ჩვენი მკითხველი იოლად არ მოტყუვდება და იმედი მაქვს ჩემს მორიგ წიგნებსაც, ასიათასიანი ტირაჟით რომ გამოვა, პირველსავე დღეებში მოუნახავს საიმედო ადგილს. თქვენ „შედგენილს“ უწოდებთ „მარად ცოცხალ ხელოვნებას“ და „მითოლოგიურ ლექსიკონს“. იქნებ თვითონაც სცადოთ მითოლოგიური ენციკლოპედიის შედგენა? მაშინ ნახავთ, რა ქვის კოდვაა ეს და რას იმსახურებს ასეთი შრომა. რაც შეეხება „კრიტიკის ქარცეცხლს“, მე პუნქტობით გავეცი პასუხი და მზესავით ნათელია, ვინ მართალია, ვინ ცდება; თუმცა უშეცდომო წიგნი არ გამოცემულა, არც მე მაქვს ამისი იმედი, მაგრამ ათი-თხუთმეტი უზუსტობა ათასგვერდიან წიგნში, რომელშიაც ასი ათასი სტრიქონია, დიდი ცოდვა არ უნდა იყოს (მერე, იმ წიგნებს 30-ზე მეტი შესანიშნავი რეცენზია უძღვნეს ცნობილმა ადამიანებმა, რადა ის ერთი-ორი „ცეცხლი“ გახსოვთ?) კიდევ რა ცოდვებს ეძებთ ჩემში? „ათეისტურ ლექსიკონს“ ერთ ჟურნალშიც ვბეჭდავდნენ, მაგრამ შინაარსით არც ისაა ათეისტური, ამაში მალე დარწმუნდებით. ტაქსილის წიგნების თარგმანშიც რომ წესიერად ჩაგეხედათ, ნახავდით, როგორ ვედავები მის უკიდურეს და უმართებულო დასკვნებს. მე რომ ამ უკვდავ წიგნზე, ბიბლიაზე ორსახოვანი წარმოდგენა მქონოდა, არ შევადგენდი საკმაოდ რთულ კრებულებს: „ბიბლიის საანდაზო საგანძური“ და „სახარების საანდაზო საგანძური“; არ დაიწერებოდა იგივე წინასიტყვაობა, რასაც ასე ზოილისეული უარმყოფელობის მეთოდით დაეტაკეთ, რამდენიმე განზრახ გამოყენებული ათეისტური სტრიქონისათვის. უამისოდ არ გაუშვებდნენ, მით უმეტეს ცკ-ს გამომცემლობაში, ეს იცით.

დანარჩენი 1600 პუბლიკაცია? რატომ რაიმე ხინჯი და გადახვევა ვერ გიპოვნიათ ეროვნული ან პოლიტიკური თვალსაზრისით? (რომ გეპოვნათ, რა სიხარულს მოგანიჭებდით!). პარტიაში რომ არც შევსულვარ, არც გამოვსულვარ და ნახევარი საუკუნე მოკრძალებით ვემსახურები ერის კულტურას, რითაც შემიძლია, ეს თუა დანაშაული? სიკეთეს რომ ვქადაგებ, ამასაც თამამად ვიმეორებ, მიუხედავად ტაქსილის თარგმნისა და არასწორი სტრიქონებისა! დე, ყოვლის მიმტევებელმა ჩვენმა სარწმუნოებამ მომიტევოს ეს შეცოდება! მოგაგონებთ, თვით პავლე მოციქული პირველად დევნიდა ქრისტიანებს, დილეგში აგდებდა, მისი ბრძანებით ჩაქოლეს წმინდა სტეფანე, მაგრამ მას, შემდეგ, რაც გაიგონა ციური ხმა: სავლე, რასა მდევნი მე? — ის გახდა ქრისტეს უერთგულესი მოციქული და ეკლესიის დიდება (მარიამ მაგდალინელსაც, მოგეხსენებათ, — პირველი ცოდვილი იყო და იესოს უერთგულეს ქალად იქცა). ბატონო თასოევო, თქვენც ხომ არ წარმოიდგინეთ თავი იესოდ, რომელმაც სავლე პავლედ აქცია?

ოდესღაც ვაჟას განქიქებისათვის მაშინდელ ცეკას მდივანზე დავწერე ლექსი, რისთვისაც რეპრესიებს შემთხვევით გადავრჩი. შემდეგ ის ლექსი დაიბეჭდა. ის ასე იწყება: „ვერა ჰყოფილხარ კაი ყმა, დაგტირი ცრემლთა მთოველი, არ მიყვარს მამულიშვილთა მაგინებელი, მგმობელი!, და ა. შ. — ვაჟა მუდამ მართალია.

თქვენ ბევრ რამეში არ გამოხვედით მართალი, ბ-ნო გია!

თქვენი წერილი სიძულვილით ნაკარნახევი პასკვილია, მოკლებული ყოველგვარ ტაქტსა და ზომიერებას, რაც უკვე შეცდომაა. საქართველოს პარლამენტის არჩევნების საზეიმო დღეს თქვენ უსამართლოდ გამწირეთ კაცი, რომლის 1500 პუბლიკაცია და ათობით წიგნი სავსებით გულწრფელად ეძღვნა საქართველოს დიდების საქმეს, და მომავალმა განსაჯოს, რამდენად მართალი ხართ ამ მოქმედებაში; თქვენი განმაქიქებელი განცხადების გამო უნდა შევნიშნო, თუ როგორ მოვედი ქართულ მწერლობაში, მთელმა ერმა იცის, მაგრამ ზოგიერთი მქირდავი რა ავლადიდებით მოსულა, საკითხავი, აი, ეს არის.

თქვენ სიცრუეს მწამებთ, სიტყვას ვერ არჩევთ და არ გეუწყებათ, ვის რა ეკადრება. შეიძლება მე არასწორი ინფორმაცია მომაწოდეს რამეზე, ან ცენზურის თვალის ასახვევად ხუთი სტრიქონი ჩავწერე ნარკვევში, რომელიც სხვა მხრივ ბიბლიის დიდებას ეძღვნება, მაგრამ ამათ სიცრუე ვერ ეწოდებათ. თუ მინისტრს მივმართე, იმ ფაქტების გამო, რომლებიც მომახსენეს, და თქვენ ამასთან დაკავშირებითაც იცრუეთ, განაჩენის შემსუბუქება არ მითხოვია, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ განაჩენი ჯერ არ იყო გამოტანილი.

პაკელიანმა ყველასათვის მოულოდნელად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მე არ ვითხოვ მის შეწყალებას, მთელი არსებით ვწუხვარ იმ უბედურების გამო, რაც ნიკვაშვილს დაატყდა, მაგრამ ბრალი არ მიმიძღვის და პირდაპირ აღარ ვიცი, რას გადამეკიდეთ, რომ უკვე მესამეჯერ მიწერთ შეურაცხმყოფელ წერილს. ნუთუ სხვა საქმე აღარა გაქვთ? ან რა შუაშია აქ რაღაც თარგმანები? ეს ხომ აკრძალული ილეთია! თუ ასეთი სუსხიანი მეთოდებით ვიბრძოლეთ, ისიც „საქართველოს“ ფურცლებზე, ვერაფერ სამსახურს ვერ გავუწევთ იმ ერს, რომელსაც საბედნიეროდ თქვენც ერთგულებას იფიცებით.

უტაქტობის კურიოზულ ზენიტად მიმაჩნია თქვენს მიერ სტალინის და ბერიას ხსენება. რასთან დაკავშირებით? მე რა, მათი პარტიის წევრი ვიყავი, თუ ჩემს ცხოვრებაში ერთხელ მაინც დავსწრებივარ მათს კრებას? პირიქით, ჯერ კიდევ მესტრის პედსასწავლებელში ერთი ლექსისათვის მხოლოდ კეთილი დირექტორის მოსე ფალიანის მეცადინეობით გადავრჩი დაპატიმრებას, და არც ოდეს მიძღვნია ბერიასათვის ლექსები, პრესა რომ გაივსო და წიგნიც კი უძღვნეს, მაგრამ დროის ხარკისათვის განკითხვაც განუკითხაობაა!

საჯაროობა კი განუკითხაობად არ უნდა ვაქციოთ! თქვენ ბიბლიას „იცავთ“ (რადგან დაგჭირდათ), მე კი ბიბლიის დიდებაზე შრომებს ვწერ, და ერთი მათგანი „სიბრძნის სიმფონიაშიც“ შევიტანე.

თქვენ ერს იცავთ, მაგრამ მეც იმავე ერის დასაცავად უთვალავი წერილი და დეპეშა გამიგზავნია მოსკოვში და უცხოეთში, მათ უკვე მთელი წიგნი შეადგინეს და ალბათ იმასაც გამიკრიტიკებთ, თუ დაგჭირდათ! ჰაინე დასცინოდა იმ ჟურნალისტებს, რომელნიც ფლიუგერის მოვალეობასაც ასრულებდნენ.

მაგრამ კმარა! ჩემი მეთოდით და ციტატებით რომ მე მედავებით, იმ ბუმერანგს უკანვე გიბრუნებთ. ჩვენ ალბათ ზედმეტი დრო გვაქვს ჭიქა წყალში ქარიშხლის ასაყენებლად, მკითხველს კი არ სცალია, წინ სერიოზული საქმეებია, ჩვენი საერთო საქმეები, და „საქართველო“ ალბათ აღარ გამოგადგებათ ქართველი მწერლების სალანძღავად. ასპექტების აღრევას ერი არავის შეუნდობს.

**სხვა მხრივ თქვენი წარმატების მსურველი**

**აკაკი გელოვანი**

წერილი იბეჭდება ავტორის დაჟინებული თხოვნით. სტილი დაცულია.

**რედაქციისაგან:**

**ამ ორიოდე თვის წინ რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია II საგანგებო ბრძანება, რომლის შინაარსი ყველასათვის ცნობილია და მის გამეორებას აღარ შევუდგებით. ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ეს იყო იძულებით ნაკარნახევი გადაწყვეტილება, რათა უფსკრულისაკენ დაქანებულ ზოგიერთ ჩვენს გონებაამღვრეულ თანამემამულეს საშვილიშვილო ცოდვის მთელი სიმძიმე გაესიგრძეგანებინა.**

**ვინც სისტემატურად თვალს ადევნებს გაზეთ „საქართველოს“ პუბლიკაციებს, დაგვეთანხმება, რომ კაენის ცოდვის რეციდივებთან ბრძოლას ეხებოდა ჟურნალისტ გია თასოევის წერილი „დროა დავარისხოთ ზარები“. აღნიშნულმა წერილმა მწერალ აკაკი გელოვანის გულისწყრომა გამოიწვია.**

**სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალისტ გია თასოევის მეორე წერილი „შეიცან თავი შენი“ დაწერილია, ცოტა არ იყოს, უტაქტოდ, რაც არ მიგვაჩნია გამართლებულად. რაც უნდა იყოს, გია თასოევს უფრო მეტი თავდაჭერილობა მართებდა, უფროს-უმცროსობის ასაკის ეტიკეტის დაცვასაც რომ თავი დავანებოთ.**

**აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბატონ აკაკი გელოვანის პოზიცია არაა ზნეობრიობიდან გამომდინარე. მისი დაჟინებული მტკიცებით, იგი „არ იცავს“ მსჯავრდადებულ თავის დისშვილს, თუმცა იუსტიციის მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში უხეშად თავს ესხმის რა სასამართლოს, განზრახ მკვლელობის მცდელობაში დადანაშაულებული დისშვილის მიმართ ისეთი მუხლის წაყენებაზე ამახვილებს ყურადღებას, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ დანაშაულს მნიშვნელოვნად ამსუბუქებს (გაუფრთხილებლობით სხეულის დაზიანება).**

**ჩვენთვის ასევე გაუგებარია ბატონ აკაკი გელოვანის თავისმართლება, რომ ნიკვაშვილი ქუდის წართმევისათვის გაიმეტა მისმა თანატოლმა სასიკვდილოდ. საოცარია პირდაპირ, თუკი ქუდის წართმევისათვის ჩვენმა ყმაწვილებმა ერთმანეთი სასიკვდილოდ გაიმეტეს, მაშინ ჩვენ ჯერ კიდევ წარმოდგენაც არ გვქონია, თუ რა ღვთის რისხვა ყოფილა ჩვენზე გადმოსული.**

**რაც შეეხება გია თასოევსა და აკაკი გელოვანს შორის გამართულ პოლემიკას „სახალისო ბიბლიასა“ და „ბალთაზარ კოსას“ თარგმანის თაობაზე, მიგვაჩნია, რომ ეს წიგნები ანტირელიგიური ხასიათისაა და მწერალმა ქართულად თარგმნა ათეისტური პროპაგანდის მიზნით, დღეს კი ამ მკრეხელური წიგნების თარგმნას ქრისტიანულ საფუძველს უდებს, რაც, მეტი რომ არ ვთქვათ, გაუგებრობაა.**

**ამასთან, ვაფასებთ ბ-ნ ა. გელოვანის დიდ შრომისმოყვარეობას და მის იმ წიგნებს, რომელთაც სათანადო ადგილი დაიმკვიდრეს.**

**ამით ვამთავრებთ გ. თასოევისა და ა. გელოვანის გაჭიანურებულ პოლემიკას.**

# შენ ჩვენთვის რა გატირებდა...

**ახლა** ყველასთვის ცხადია, რომ უმაღლეს სკოლაში, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინების სწავლების პროცესში, ბევრი სიძნელე და გადაუჭრელი პრობლემაა. ეს არავისათვის არ უნდა იყოს მოულოდნელი, რადგან კრიზისული სიტუაცია ამ სფეროში დიდხანს მწიფდებოდა. ათეული წლების მანძილზე გაბატონებულმა დოგმატიზმმა და სქოლასტიკამ, უმაღლესი განათლების იდეოლოგიზაციამ დიდად შეარყია საზოგადოებათმცოდნეობის ავტორიტეტი, გამოიწვია სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლიანი უკმაყოფილება და კოლექტიური პროტესტი სტალინისეული „მოკლე კურსის“ სქემებით მისი სწავლების წინააღმდეგ.

ყოველივე ეს კარგად არის ცნობილი, მაგრამ უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრის დოცენტი ვ. გურული თავის ამბიციურ წერილში „სიცრუის მოჯადოებულ წრეში, ანუ როგორ ვერ გაიღვიძეს „გრიშა ბიძიებმა“ (იხ. „საქართველო“ 1990 წ. 25/XI) ერთხელ კიდევ შესაშური მონდომებით ცდილობს დაამტკიცოს, ასგზის დამტკიცებული ჭეშმარიტება და უარყოს ისევე უკვე ასგზის უარყოფილი.

ვ. გურულის წერილის წამკითხველმა, შეიძლება იფიქროს, რომ იგი წლების მანძილზე დიდი რიხით კი არ კითხულობდა სკკპ ისტორიას სტუდენტურ აუდიტორიაში, არამედ ხმალამოღებული იბრძოდა ისტორიის გაუგონარი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. რაც ცხადია. ასე არაა.

მძიმე დღეშია ამჟამად საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინები უმაღლეს სკოლაში. მდგომარეობის გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. შეიცვალა სასწავლო დისციპლინები: პარტიის ისტორიის ნაცვლად ისწავლება პოლიტიკური ისტორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ნაცვლად — ფილოსოფიის კურსი, მეცნიერული კომუნიზმის ნაცვლად — სოციალურ-პოლიტიკური თეორია და პოლიტოლოგია და ა. შ. ამ საგნებში მომზადდა ახალი სასწავლო პროგრამები, ადგენენ სალექციო კურსებს და დამხმარე სახელმძღვანელოებს.

უკვე მეორე წელია, უმაღლეს სასწავლებლებში პარტიის ისტორიის ნაცვლად იკითხება XX საუკუნის პოლიტიკური ისტორია, რომლის წინააღმდეგაც დღეს ასე გაბედულად ამხედრებულა დოცენტი ვ. გურული, მიიჩნევს რა, რომ მხოლოდ საგნის სახელწოდება შეიცვალა, შინაარსი კი ძველი დარჩა.

სინამდვილეში კი პოლიტიკური ისტორია ძირეულად განსხვავდება პარტიის ისტორიისაგან, თუნდაც იმ მარტივი არგუმენტისა გამო, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ იგი შეისწავლის არა მხოლოდ ერთი პარტიის ისტორიას, არამედ როგორც რევოლუციამდე, ისე დღეს არსებული პოლიტიკური, პარტიების და მიმდინარეობების ისტორიას და საქმიანობას.

ამ ახალი საგნის სასწავლო პროგრამის შესადგენად კათედრამ შრომატევადი სამუშაო შეასრულა, შეიმუშავა და საჯარო განხილვისათვის გამოაქვეყნა „XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის“ კურსის პროგრამა (იხ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1990 წ. 21 დეკემბერი). პროგრამაში საკითხების ორ მესამედზე მეტი ეთმობა XX საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის პრობლემებს, განსაკუთრებით 1917-1921 წლების მოვლენების და ისტორიის სხვა, „თეთრი ლაქების“ შესწავლას ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პრიორიტეტის პრინციპის შესაბამისად.

ამდენად, პროგრამაში მაქსიმალურადაა წარმოდგენილი XX ს. საქართველოს პოლიტიკური ისტორიის მდიდარი მემკვიდრეობა, რასაც ათეული წლების მანძილზე ტაბუ ჰქონდა დადებული.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ პროგრამით XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის კურსის შესწავლა უდაოდ შეუწყობს ხელს ჩვენი ახალგაზრდობის პოლიტიკური კულტურისა და შეგნების ამაღლებას, ეროვნული სულისკვეთებით მის აღზრდას და პრაქტიკულ-პოლიტიკური საქმიანობისათვის მომზადებას; ბატონ ვ. გურულს კი ჰყოფნის კადნიერება, რომ შავით თეთრზე ამტკიცოს, თითქოს „ასეთი პროგრამის შედგენა, მეტი რომ არა ვთქვათ, დანაშაული იყო საკუთარი სინდისის, სტუდენტობისა და მთელი საზოგადოების წინაშე“. საინტერესოა, უფრო მეტის თქმას რომელი არსენალიდან და რა ტერმინოლოგიით აპირებდა ჩვენი პატივცემული ოპონენტი.

კათედრაზე მუშავდება ალტერნატიული კურსის სასწავლო პროგრამაც. ეს კურსი — „პოლიტიკური პარტიების ისტორია“, რომელშიც ძირითადი აქცენტი გაკეთებულია საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორიის პრობლემებზე, ახალი სასწავლო წლიდან წაიკითხება ისტორიის ფაკულტეტზე. მართალია, ვ. გურული ავბედითად გვიწინასწარმეტყველებს, ახალი კურსების წაკითხვას კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი ვერ შეძლებსო, მაგრამ საინტერესოა, საკუთარ თავს რომელ ნაწილს მიაკუთვნებს, ის ხომ ე. წ. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის სპეციალისტია და თუ ამ კურსებს წაიკითხავს, საწინააღმდეგო ვის რა აქვს.

ვ. გურული მძიმე ბრალდებას უყენებს პოლიტიკური ისტორიის სასწავლო პროგრამის შემდგენლებს როცა წერს, რომ ეს პროგრამა „არაფრით არ ეხმიანება დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს“, ეტყობა ჩვენი განმაქიქებელი კრიტიკოსი არ იცნობს ახალ პროგრამას, თორემ ასეთ მტკნარ სიცრუეს არ იკადრებდა. შევახსენებთ, რომ პროგრამის ბოლო, მეთერთმეტე თემა ასეა დასათაურებული — „საქართველოს რესპუბლიკა გარდამავალ პერიოდში“, რომელშიც დაწვრილებით არის განხილული და შეფასებული საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენები. ვფიქრობთ, ვინც ამ პროგრამას გაეცნობა, ადვილად დარწმუნდება, რომ იგი ეროვნული პოზიციიდან სავსებით მისაღებია.

უნივერსიტეტის რექტორატის მხარდაჭერით კათედრასთან შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნული მოძრაობის პრობლემების შემსწავლელი ლაბორატორია, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. ამ ლაბორატორიის საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და პოლიტიკური პარტიების ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურ გაშუქებას, სტუდენტებისთვის ამ პრობლემატიკაზე საინტერესო სალექციო კურსების მომზადებას. ლაბორატორია შეისწავლის აგრეთვე თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტუალურ საკითხებს და პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობას.

ახალი პროგრამის მიხედვით ვამზადებთ ლექციების კურსს XX საუკუნის პოლიტიკურ ისტორიაში, რომელიც შემდგომში საფუძვლად დაედება დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნას. ამ საქმეში კათედრის ყველა წევრია ჩაბმული და ამ სამუშაოს დამთავრებას ახალი სასწავლო წლის დამდეგისთვის ვვარაუდობთ. ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსიდან შემოღებულია ახალი სპეციალიზაცია — „პოლიტიკური პარტიების ისტორია“. ამ სპეციალიზაციის სტუდენტებისთვის ვამუშავებთ და ვკითხულობთ ახალ სპეცკურსებს. ისინი დიდი ინტერესით მუშაობენ ისეთ სპეცკურსებში, როგორიცაა, „პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ საქართველოში“, „ილია ჭავჭავაძე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“, „პოლიტიკური პარტიები თანამედროვე ეტაპზე“, ძირეულად შეიცვალა საკურსო და სადიპლომო შრომების თემატიკა და სხვა.

ყოველივე ეს ზემოაღნიშნულ კათედრაზე შესრულებულ სამუშაოთა და სიახლეთა სრული ნუსხა როდია. თბილისის უნივერსიტეტისთვის ავტონომიის მინიჭებასთან დაკავშირებით სასწავლო თუ სამეცნიერო მუშაობის ბევრი საკითხი კათედრაზე დამოუკიდებლად, ზემოდან ჩარევისა და ინსტრუქციების გარეშე წყდება. ასე რომ, კათედრაზე სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობს, რაც ვ. გურულს ან არ უნდა დაინახოს, ანდა შეგნებულად აყალბებს, რათა შემდეგ უტიფრად ამტკიცოს, თითქოს კათედრაზე „სასიკეთო ძვრები არ შეინიშნება“, „უვარგისი პროგრამით შედგენილი ლექციების კურსი, რაღა თქმა უნდა, უვარგისი იქნება“ და ა. შ.

რაც შეეხება დოც. ვ. გურულის კონკრეტულ წინადადებებს, ისინი, როგორც იტყვიან, არ ახალია, ძველია. იგი გვთავაზობს პოლიტიკური ისტორიის ნაცვლად შემოვიღოთ „საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია“, „საქართველოს პოლიტიკური ისტორია“ ანდა „საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია“. ეს წინადადებანი თავად კათედრამ წამოაყენა ა. წ. სექტემბერში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსა და საქართველოს ისტორიის კათედრის მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, მიუხედავად რექტორატის თანხმობისა. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც, პატივცემული ოპონენტი ღია კარს ამტვრევს, და საწუხ არს, რომ ამაოდ დაშვრა.

დაბოლოს, უკვე დროა შეიცვალოს ჩვენი აზროვნების წესიც. ჩვენი ცნობიერება უნდა გავათავისუფლოთ ცილისწამების, ძალადობის, საქვეყნოდ დასმენის და სხვა ამგვარისაგან, რომელსაც, როგორც ჩანს, სამწუხაროდ, ვერ ველევით. ბატონ ვ. გურულის ზემოხსენებული წერილი სწორედ ამის ნიმუშია. განზე დგომა, იაფფასიანი ხერხებით ცრუ თავის გამოჩენა და რესპუბლიკური პრესის ფურცლებიდან მოწოდება — ზედმეტი ბარგია, არ დაინდოთ, გასწირეთ, ამხილეთ და მისთანანი — ვერაფერი ვაჟკაცობაა.

ვფიქრობთ, რომ თავად ბატონი ვ. გურული აღმოჩნდა სიცრუისა და ცილისწამების მოჯადოებულ წრეში, საიდანაც გამოსავალი მხოლოდ ის იქნება, თავი ანებოს კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა შეურაცხყოფას და ბატონკაცურ ჭკუის სწავლებას, ამოუდგეს მათ მხარში და კონკრეტული საქმეებით შეუწყოს ხელი კათედრის მუშაობის სრულყოფას, ეროვნული სულისკვეთებით ჩვენი სტუდენტობის აღზრდას.

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური ისტორიის კათედრის პროფესორ-მასწავლებლები:**
**რ. ბრძოლიძე, ბ. ფირცხალავა, ა. კობაიძე, ნ. კირთაძე, დ. ცინცაძე, ბ. ფირანიშვილი, ბ. თორდია (სულ 20-ზე მეტი ხელმოწერა).**

---

**გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში „ახალგაზრდა ივერიელმა“ გამოაქვეყნა რამდენიმე ნაწილი თ. მირიანაშვილის ნაშრომიდან „ჩვენ, აფხაზები და სხვანი“, რომელშიც შედარებულია, ერთი მხრივ, აფხაზთა და სამხრეთ ოსთა, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეგიონში მცხოვრებ „ნაცმენთა“ რეალური მდგომარეობის მაჩვენებელი ფაქტები, დოკუმენტები, სტატისტიკა და ამ გზით დასაბუთებულია, რომ საქართველოში მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებს აქვთ ყველაზე კარგი პირობები საბჭოეთის ერებს შორის.**
**ამჯერად ჩვენი გაზეთი მკითხველს სთავაზობს კიდევ ერთ ნაწილს აღნიშნული ნაშრომიდან, რომელშიც ნაჩვენებია „მოკავშირე რესპუბლიკების“ ხალხთა მძიმე მდგომარეობა.**

**(წერილი პირველი)**

## თემურ მირიანაშვილი

# რა ხდება სხვა რესპუბლიკებში?

**ჟურნალ** „ნაშ სოვრემენნიკის“ 1989 წლის სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ბორის ოლეინიკის სტატია, მიძღვნილი **უკრაინის** პრობლემებისადმი. ავტორი აშკარად ცდილობს, რაც შეიძლება შეარბილოს წარსულის ტრაგიკული ფაქტები. მისი თქმით, უკრაინელები რუსეთს შეეკედლნენ თავიანთი ეთნიკური თავისებურების შენარჩუნების მიზნით. მაგრამ ცარიზმისაგან რუსთა მონათესავე მრავალრიცხოვან ერს არაფერი ახსოვს, გარდა იმპერიული, ანექსიონისტური, ასიმილატორული პოლიტიკისა და განუწყვეტელი დამცირება-უგულვებელყოფისა. „ყველაზე მდაბალი, უსინდისო მეთოდებით გვარუსებდნენ...“ ძნელად თუ მოიძებნება მსოფლიოში ხალხი, რომლისთვისაც, უკრაინელთა მსგავსად, მთავრობას ებრძანებინოს, დედაენაზე არ ილაპარაკოო“ — წერს ავტორი.

უკრაინას საბჭოთა პერიოდშიც ჯოჯოხეთური ბედი ჰქონდა. ბ. ოლეინიკი ძალიან მოკლედ და უხალისოდ ლაპარაკობს ამაზე. არ ახსენებს არც ოციან-ოცდაათიანი წლების შიმშილობას, რომელმაც რამდენიმე მილიონამდე უკრაინელის სიცოცხლე შეიწირა. უკრაინელთა შორის მკვიდრად მოიკიდა ფეხი ეროვნულმა ნიჰილიზმმა და მანქურთულმა სულისკვეთებამ. ბ. ოლეინიკი წუხს, რომ მშობლებს არ სურთ შვილების უკრაინულ სკოლებში მიბარება, რომ უკრაინელები კარიერისთვის რუსდებიან, რომ მოწოდებაზე, ისწავლონ დედაენა, ასე პასუხობენ: „კი მაგრამ, უკრაინულის ცოდნა გაგვაძლობს?“ (გვ. 72). (მახსენდება გახმაურებული ამბავი: უკრაინის სიდიდით მეორე ქალაქის, ხარკოვის უკრაინულმა თეატრმა ამ რამდენიმე წლის წინ გამოაცხადა, რომ რუსულენოვანი ხდებოდა).

ბ. ოლეინიკი კიდევ არაერთ პუბლიკაციასა თუ საჯარო გამოსვლაში შეხებია თავისი სამშობლოს ავბედობას, მაგრამ უფრო მეტ ინფორმაციას უკრაინის შესახებ ვპოვებთ დმიტრო პავლიჩკოს მიერ „დრუჟბა ნაროდოვის“ (1989, № 6) ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში — „სახელმწიფო ენა და ხალხის სულიერი შემოქმედება“.

დ. პავლიჩკო იწყებს იმით, რომ იმოწმებს დიდ უკრაინელ მწერალს ივან ფრანკოს და მისგან ამოწერილი სიტყვებით აკრიტიკებს მარქსიზმს (დღეს მხოლოდ აფხაზთა და ოსთა ინტელიგენციას არ სურს მარქსიზმში თუნდაც ოდნავი ხარვეზის შემჩნევა. მხოლოდ ისინი რჩებიან ორთოდოქსალური ბოლშევიზმის პოზიციებზე. გასაგებია რა მიზნითაც: თავიანთ ერთგულებას უმტკიცებენ რუსეთის ყველაზე ბნელ ძალებს). შემდეგ დ. პავლიჩკოს მოაქვს სტატისტიკური მონაცემები, რომელთაგანაც ჩანს, რომ ეროვნულ უმცირესობათა და მათი ენების მდგომარეობა მეფის რუსეთში გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე „განვითარებული სოციალიზმის“ ქვეყანაში (დღეს ამას ყველა აღიარებს, ისევ აფხაზ-ოსთა გარდა. უკანასკნელთ ცარიზმის კრიტიკა ზოგჯერ შეიძლება წამოსცდეთ კიდეც, — ოფიციალურად დაშვებულ ფარგლებში, ბოლშევიკურ პოლიტიკას კი დღესაც ოცდაათიანი წლების ტონით ასხამენ ხოტბას).

დ. პავლიჩკო ადასტურებს, რომ ენების მდგომარეობა სტალინის ეპოქასთან შედარებითაც კი საშინლად გაუარესდა, თუ 1937 წელს საბჭოთა კავშირში სახელმძღვანელოები 90 ენაზე იბეჭდებოდა, 1988 წელს მხოლოდ 39 ენაზე დაიბეჭდა. უკრაინაში 1946 წელს გამოცემული 106 დასახელების სახელმძღვანელოდან 90 უკრაინული იყო, ხოლო 16 რუსული. 1980 წელს უკრაინულად დაიბეჭდა 38 სახელმძღვანელო, რუსულად კი — 422.

„უკრაინულ ენას... — წერს დ. პავლიჩკო, — ნელი, მაგრამ გარდუვალი სიკვდილი მიუსაჯეს“ (გვ. 221). 1979 წელს 5 მილიონ უკრაინელს დედაენად რუსული დაუსახელებია (და ღმერთმა უწყის, რამდენი მილიონი სრულიად გარუსდა!). უმაღლეს და ტექნიკურ სასწავლებლებში უკრაინულად არ ასწავლიან. უკრაინის არცერთი კინოსტუდია არ უშვებს არცერთ უკრაინულენოვან ფილმს... გამოსავალს დ. პავლიჩკო იმაშიღა ხედავს, რომ მოუწოდებს, უკრაინელ მშობლებს აეკრძალოთ შვილების რუსულ სკოლებში შეყვანა.

ეს უკანასკნელი ფაქტი განსაკუთრებით კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რა საშინელ მდგომარეობამდე მიიყვანეს უკრაინელი ერი! საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმზე გამოსვლისას (1987 წ.) იური მუშკეტიკმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რასაც დაულალავად გაიძახიან პატრიოტი უკრაინელი მწერლები: „ნუ ვაძლევთ მშობლებს შვილებისათვის სწავლების ენის არჩევის უფლებას, თორემ საერთოდ მოისპობა უკრაინული სკოლაო“.

მსგავსი პუბლიკაციები უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ მრავლადაა ისინი და უკრაინული ენის, ტრადიციების, კულტურის და ა. შ. მძიმე ბედი საყოველთაოდ ცნობილია, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ერთ ფაქტსღა მოვიტან. ესტონელმა პუბლიცისტმა ტეეტ კლასმა „დრუჟბა ნაროდოვში“ (1989, № 7) აღნიშნა, რომ კიევის მახლობლად არის სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ევალება თვალყურის დევნება, რათა საბჭოთა კავშირში გამოშვებული მედიკამენტების კოლოფებზე წარწერები მხოლოდ და მხოლოდ რუსულად იყოს.

დიახ, ასეთი დაწესებულება დაარსეს რესპუბლიკაში, რომლის მკვიდრთა დედაენა, დ. პავლიჩკოს თქმით, არალის ზღვას დაემსგავსა. როგორც ვხედავთ, ცინიზმს არ აქვს საზღვარი! რა უნდა ეწოდოს, თუ არა ზეცინიზმი, საკავშირო აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოლეგ ტრუბაჩოვის განცხადებას, რომელმაც უკრაინელთა ჩივილს მათი დედაენის განსაცდელზე უწოდა „არაეთიკური“ საქციელი („დ. ნ.“, 1988, № 5, გვ. 248).

მე არაფერი მითქვამს უკრაინელთა ყველაზე საშინელი ტრაგედიის — ჩერნობილის შესახებ. არ მითქვამს, რადგან ჩერნობილის ამბები ისედაც ყველასთვის კარგად ცნობილია. ყველამ ვიცით, როგორ უმალავდნენ ადამიანებს, რომ ავარია მოხდა, რომ მისი შედეგები მომაკვდინებელია. როგორ არ უშვებდნენ კიევიდან გასამგზავრებლად, ყმა-გლეხებივით იძულებით ერეკებოდნენ რადიაციულ ზონაში სამუშაოდ...

კიდევ უფრო უარეს დღეში არიან **ბელორუსები** თუ უკრაინელთა ათმა პროცენტმა (5 მლნ) დაივიწყა დედაენა, ბელორუსთაგან, ცნობილი მწერლის ვასილ ბიკოვის ცნობით, დედაენა უარყო თითქმის ყველამ. „შვიდმა მილიონმა ბელორუსმა, — წერს ვ. ბიკოვი, — ოდითგანვე მცხოვრებმა საკუთარ მიწა-წყალზე, ზურგი აქცია ბელორუსულ ენას“ („დრუჟბა ნაროდოვ“, 1988, № 6, № 249). გასაბჭოების შემდეგ „ბელორუსების ეროვნულ შეგნებაში ცნება „ეროვნული“ მჭიდროდ დაუკავშირდა ყველაზე საშინელი ხიფათის განცდას. ხალხი დარწმუნდა, რომ ნაციონალისტობა შეიძლება დაბრალდეს ყველას, დაბადებულს ბელორუსიაში და მეტყველს ბელორუსულად“ (გვ. 250). ამის შემდეგ ბელორუსული ენა კაპიტალიზმის გადმონაშთივით ცხოვრების ყველა სფეროდან განდევნეს. „მისი გამოყენების უფლება შეუნარჩუნდა მხოლოდ ორიოდე გაზეთს, ორ თეატრს და მწერალთა კავშირს, რომელშიც ომის დამდეგისთვის სულ ორი ათეული წევრი დარჩა. დანარჩენები დახვრიტეს ან დააპატიმრეს“ (იქვე). გასაგებია, რომ ყოველივე ამას მოჰყვა „ხალხური ტრადიციების თითქმის მთლიანი ლიკვიდაცია, დედაენის გამოყენების სფეროს შეზღუდვა“ (იქვე).

(დასასრული მე-6 გვ.)

(დასასრული)

ვ. ბიკოვი აღნიშნავს, რომ ბელორუსიაში კვლავაც გრძელდება ანტიეროვნული პოლიტიკა, რის დასტურადაც იგი ასახელებს გაზეთ „სოვეტსკაია ბელორუსიაში" გამოქვეყნებული სტატიების სერიას, რომელთა მიზანიც იყო „ოცდაათიან წლებში „ნაციონალ-დემოკრატიზმის" ბრალდებით წარმოებული ტერორის გამართლება" (გვ. 250). თუ რაოდენ უმეცარი, საკუთარი ისტორიისა და კულტურისადმი განურჩეველი ადამიანები ატარებენ ამგვარ კამპანიებს, ჩანს თუნდაც შემდეგი ფაქტიდან: „სოვეტსკაია ბელორუსია" ყოველნაირად არწმუნებდა მკითხველს, რომ დაუშვებელია დახვრეტილი აკადემიკოსის, ს. ნეკრაშევიჩის რეაბილიტირება, თუმცა, იგი ჯერ კიდევ 1955 წელს ყოფილა რეაბილიტირებული სრული უდანაშაულობის გამო.

საკავშირო მწერალთა კავშირის პლენუმზე (1987 წ.) ნილ გილევიჩმა გაიმეორა რასულ ჰამზათოვის სიტყვები, რომ რესპუბლიკა, რომელსაც ართმევენ დედაენასა და ტრადიციებს, ემსგავსება დამზადების კანტორას. ნ. გილევიჩმა წამოაყენა მოთხოვნა, რომ მკვიდრ ერთა დედაენა კანონმა დაიცვას.

მანვე ალმფოთებით ილაპარაკა იმაზე, რომ ახალგაზრდობა გადააქციეს „ეროვნულად უსქესოებად", რომ „არც მინსკში, არც რომელიმე საოლქო ცენტრში, ქალაქში ან დაბაში არ არის არცერთი ბელორუსული სკოლა. არის ინგლისური, ფრანგული, ესპანური სკოლები — ბელორუსული კი არა. „დამიჯერეთ, არაფერია სულისათვის უფრო მძიმე, ვიდრე ამის შეგნება!" — თქვა ნ. გილევიჩმა და არ შეიძლება არ უთანაგრძნო პატრიოტ ბელორუსს.

ნ. გილევიჩმა თქვა, რომ ბელორუსული ენა ფაქტიურად უკვე მკვდარია, რის გამოც „ბელორუს მწერალს აღარ შეუძლია გაამდიდროს, დახვეწოს თავისი სამუშაო ენა, სტილი".

— 1988 წლის საგამომცემლო გეგმაში, — განაგრძობს გილევიჩი, — შეტანილია „პოეზიის ერთადერთი „პირველი წიგნი". ერთადერთი — 10 მილიონიანი ბელორუსისთვის". ოსებისა და აფხაზთა საერთო რიცხვი საქართველოში დაახლოებით 250 ათასია, მაგრამ განა შეიძლება შევადაროთ, მათი მდგომარეობა ამ თვალსაზრისით 10 მილიონიან ბელორუსიას!

ოცდახუთი წლის წინ ბელორუსიაში შეუქმნიათ ჟურნალ „მალადოსცის" ბიბლიოთეკა, რომელსაც წელიწადში თორმეტი თხელი „პირველი პოეტური წიგნი" უნდა დაებეჭდა, მაგრამ მიუხედავად უდიდესი ძალისხმევისა, მიუხედავად იმისა, რომ სულ ამაზე იყო ლაპარაკი, დღემდე არცერთი წიგნი არ გამოცემულა.

ნ. გილევიჩის რწმუნებით, სალიტერატურო პერიოდიკის ფორმატიც ძალიან შეკვეცილია. ბელორუსიის მწერალთა კავშირის რიგები ბოლო 35 წლის მანძილზე სამჯერ გაიზარდა, მის ბეჭდვით ორგანოს კი არამცთუ არ მოუმატეს ფორმატი, არამედ საგრძნობლად შეუმცირეს. ამავე 35 წლის მანძილზე არ დაარსებულა არცერთი ახალი ბელორუსული ჟურნალი, ხოლო „წიგნთგამოცემის საქმე აბსურდამდე ბიუროკრატიზებულია".

თუ, ვ. ბიკოვის აზრით, დედაენა შვიდმა მილიონმა ბელორუსმა უარყო, ნ. გილევიჩი თვლის (იხ. სტატია „ვისი ხმები გვესმის?" „პრავდა", 29. XI, 1988), რომ „ათმილიონიანი ერი... განუდგა დედაენას".

ბელორუსია და უკრაინა, როგორც ვხედავთ, ისეთსავე კატასტროფის წინაშე დგანან, როგორც ყველაზე მცირერიცხოვანი ერები.

ამ პირობებში ბელორუსია ახალი „ინტერნაციონალური" რეფორმით „გააბედნიერეს": „რესპუბლიკის ქალაქების სკოლებში, ხელმძღვანელობის ახალი ნება-სურვილის თანახმად, დედაენის სწავლას ბავშვები დაიწყებენ არა პირველი, არამედ მეორე კლასიდან" (იქვე).

„პრავდის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სხვა სტატიაში — „დავრჩეთ ადამიანებად" (6. III. 1990) — იგივე ნ. გილევიჩი წერს, რომ ბელორუსია ექსპერიმენტის არენად გადააქციეს, აკვირდებიან:

**«выживит или перемрет это мирное, смирное славянское племя: Радиация движется по белорусской земле, как чума, все дальше и дальше».**

# რა ხდება სხვა რესპუბლიკებში?

ნ. გილევიჩი ამ სტატიაშიც ეხება ბელორუსული კულტურის ტრაგიკულ ბედს. ამბობს, რომ ეროვნული ინტელიგენცია ცდილობს, მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მათ მცდელობას ცივი წყალი გადაასხეს მოსკოველმა ჩინოვნიკებმა — ბელორუს ინტელიგენტთა წინადადებები უარჰყვეს, რადგან „ეს იქნება საკავშირო კონსტიტუციის დარღვევა"!

ტრაგიკულია ბელორუსთა ხვედრი, მაგრამ მათი გადარჩენის იმედი არის. ამის საწინდარია ერის გამოღვიძება, რაც ბელორუს მწერალთა გამოსვლებში იგრძნობა. ამ გამოსვლათაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ალეს რიაზანოვის სტატია „Что „надо" для вечности". („დ. ნ.", 1989, № 6).

ა. რიაზანოვი აკრიტიკებს მათ, ვინც რუსული ენის შემაკავშირებელ (სხვადასხვა ერთა და კულტურათა) ფუნქციაზე დემაგოგობს. ბელორუსი მწერლის აზრით, რუსული ენა გამთიშველ როლს უფრო ასრულებს, რადგან ენათა და კულტურათა უშუალო კონტაქტებს ელობება.

**ბალტიისპირეთის** ერები სხვებთან შედარებით ვინმეს, შეიძლება, ნამდვილად პრივილეგირებულნი ეჩვენოს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა. ერთის მხრივ, ცხადია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ლიტვურ, ლატვიურ და ესტონურ ენებს, კულტურებს გადაშენების საფრთხე არ ემუქრება, აქ ცდილობენ დაიცვან თავიანთი ეროვნული ფასეულობები, უერთგულონ მათ. იბრძოლონ სრული დამოუკიდებლობისათვის... ერთი სიტყვით, ბალტიისპირელთა მდგომარეობა, უეჭველად, სხვა ერთა მდგომარეობაზე უმჯობესია, რაც იმით აიხსნება, რომ, ჯერ ერთი, ბალტიისპირეთს ასცდა 20-30-იანი წლების ჯოჯოხეთი; შიმშილობა, ტერორი... მეორეც, საბჭოთა ბალტიისპირეთი მუდამ განიცდიდა თავისუფალი ევროპის მძლავრ ზეგავლენას, რომელთანაც იგი ძალიან ახლოსაა გეოგრაფიულადაც, კულტურულადაც და გენეტიკურადაც.

ყოველივე ამის გამო გაუჭირდა მეტროპოლიას ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების მოწყვეტა ტრადიციული კულტურისა და ეთიკისაგან. გაუჭირდა მათში თავისუფლებისაკენ ლტოლვის ჩაკვლა და ასიმილატორული განწყობილებების თავსმოხვევა.

მაგრამ ბალტიისპირელთა გმირული წინააღმდეგობა მეტროპოლიისადმი გახდა მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელი ერთნახევარი ათწლეულის განმავლობაში მეტროპოლიამ სწორედ მათ მიმართ განახორციელა განსაკუთრებით ვერაგული მეთოდებით ანექსიონისტური და ასიმილატორული პოლიტიკა: შეიყვანა ამ რესპუბლიკებში რუსი ეროვნების მიგრანტთა მასები, რამაც უდიდესი საფრთხე შეუქმნა მკვიდრი ერების ენებს და სულიერ ფასეულობებს, მათ სვლას სუვერენიტეტის გზაზე.

არ შეიძლება არ გაჩნდეს კითხვა: როგორ დაუშვეს ესოდენ პატრიოტმა, თავდადებულმა და ბრძენმა ერებმა, სულ რაღაც ათწლეულის მანძილზე ასობით ათასი ანექსატორი მიგრანტის ჩასახლება თავის მიწა-წყალზე, რის შედეგადაც დღეს ესტონეთში ესტონელები სამოც პროცენტსაც აღარ შეადგენენ, ხოლო ლატვიაში ლატვიელთა ხვედრითი წილი ნახევარზე ოდნავ მეტია? ეს დამღუპველი ღონისძიებანი ხომ ფორმალურად თვით რესპუბლიკათა ინიციატივითა და სურვილით ჩატარდა: რესპუბლიკათა ხელმძღვანელნი ითხოვდნენ არაშავმიწანიადაგიანი რუსეთიდან ხალხის მასობრივ შეყვანას ბალტიისპირეთში. ამის გამო დღეს ცენტრი იქით ამუნათებს ბალტიისპირელებს, ჩვენს ხარჯზე განავითარეთ მრეწველობა, თქვენი გულისათვის უამრავი სოფელი დაგვეღუპაო.

გასაგებია, რომ ის ბიუროკრატები, რომლებიც კრემლის ყველა წამოწყებაზე უყოყმანოდ აწერდნენ ხელს, მოღალატე მარიონეტები არიან, მაგრამ ჩვენ ბალტიისპირელებზე იმდენად მაღალი აზრისანი ვართ, რომ გვიკვირს მათ შორის თუნდაც ერთეული მოღალატეების გამორევაც კი (თუმცა ამ „ერთეულთა" რიცხვი არცთუ ცოტაა. მოღალატურ პოლიტიკას წლების მანძილზე მთელი ხელმძღვანელი აპარატი ახორციელებდა).

იმას, თუ როგორ შესძლო კრემლმა ესოდენ მორჩილ და დამყოლ ჩინოვნიკთა გამოწრთვნა, ვიგებთ ესტონელი პუბლიცისტის ტეეტ კლასის სტატიიდან „სჭირდება ექიმს ესტონურის ცოდნა?" („დ. ნ.", 1989, № 7). „1950 წლიდან, — წერს ტ. კლასი, — რესპუბლიკის პირველი სამი პოსტი (იგულისხმება ცეკას პირველი მდივნის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტები. — თ. მ.). აღარ უნდოდათ ესტონეთში დაბადებული ადამიანებისათვის. ერთადერთი გამონაკლისია — მწერალი ავგუსტ იაკობსონი. იგი ცოტახანს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ მუშაობდა. თუმცა ეს მაშინ სარიტუალო პოსტი იყო" (გვ. 225).

ხედავთ, საიდან მოუარეს ბალტიისპირელებს: იქ არ მოხერხდებოდა უდმურტეთის ანალოგიით მხოლოდ რუსი ჩინოვნიკების დაწინაურება; ბალტიისპირეთს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს, თვითონ მკვიდრი მოსახლეობაც არ დაუშვებდა გადამთიელი ჩინოვნიკების გაბატონებას, ამიტომ კრემლი ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავდა ეთნიკურ ესტონელებს, ლიტველებს, ლატვიელებს, ოღონდ, დაბადებულებს სამშობლოდან შორს და ამის შედეგად დისიმილირებულებს, სულით რენეგატებს, აბსოლუტურად გულშეუტკივართ მშობელ ერებზე.

ერთი ასეთი მოხელე იყო კარლ ვაინო, ესტონეთის კომპარტიის ცეკას ყოფილი პირველი მდივანი, წარმოშობით ესტონელი, მაგრამ მოწყვეტილი ეროვნულ ფესვებს. ტ. კლასის თქმით, კ. ვაინო ძალზე იშვიათად ლაპარაკობდა ესტონურ ენაზე, რადგან ცუდად იცოდა იგი. სწორედ კ. ვაინოს მბრძანებლობის ხანაში (1978-1988 წწ.) მიიღო მიგრაციამ კატასტროფული ხასიათი. ინტელიგენცია, დაშინებული ათწლეულების მანძილზე წარმოებული საშინელი ტერორით „ბურჟუაზიული ნაციონალიზმის" წინააღმდეგ, წინ ვერ აღუდგა დამღუპველ პროცესს. ოთხასათასიან ტალინში აუშენებიათ ორასათასიანი მიკრორაიონი და მიუხედავად ამისა, მკვიდრი მოსახლეობა კვლავაც მწვავედ განიცდის უბინაობას (ტ. კლასს მოაქვს ასეთი სტატისტიკა: 1986 წელს ახალი ბინების ორდერი მიუღია 1061 ესტონურ და 2231 არაესტონურ ოჯახს. განთავისუფლებულ ბინებში შესახლებულა 384 ესტონური და 708 არაესტონური ოჯახი).

დღეს მომრავლდნენ დემაგოგები, რომლებიც ლამის რასისტებად და ნაცისტებად ნათლავენ მცირერიცხოვან ერთა იმ შვილებს, რომლებიც არ მალავენ გულისტკივილს თავიანთ სამშობლოში ხელოვნურად შექმნილი ეთნიკური დისპროპორციის გამო. სხვათაშორის, ბალტიისპირელებს, ქართველებს და ზოგიერთი სხვა გამოღვიძებული ერის წარმომადგენლებს შოვინისტობას სწამებენ სწორედ ის ადამიანები, ვინც თავგამოდებით ესწრაფვოდა და ესწრაფვის საბჭოთა კავშირის ყველა წერტილში რუსთა რიცხობრივი უმრავლესობის შექმნას; ვინც ტრაგედიად სახავს იმ ფაქტს, რომ რევოლუციამდე რუსეთის იმპერიაში სლავი ერების ხვედრითი ოდენობა შეადგენდა 84 პროცენტს, დღეს კი საბჭოთა კავშირში — 62 პროცენტია; ვინც უზარმაზარ ტირაჟიანი მოსკოვური ჟურნალ-გაზეთების ფურცლებიდან მოუწოდებს არასლავებს შეწყვიტონ გამრავლება, რათა აღდგეს მოსახლეობის „ბუნებრივი" და „გამართლებული" ბალანსი.

ყველა ერის შვილთ აქვთ უფლება, იზრუნონ, რომ ხელოვნური მიგრაციული პროცესების შედეგად თავიანთ სამშობლოში ეროვნულ უმცირესობად არ გადაიქცნენ. რუსეთის ყველაზე შოვინისტური ძალები ბალტიისპირელებს „არაცივილიზებულობას" სწამებენ, თავად კი განგაში ატეხეს „მესხეთელი თურქების" ჩასახლების გამო არაშავმიწანიადაგიან რუსეთში (გავიხსენოთ თუნდაც მწერალ ვასილ ბელოვის გახმაურებული სტატია). ცხადია, რუსებს აქვთ უფლება იფიქრონ იმაზე, თუ როგორი პერსპექტივა ექნება მათს შთამომავლობას რუსეთის მიწა-წყალზე, მაგრამ რატომ არ სურს ზოგიერთ რუს მოღვაწეს იმის გაგება, რომ სხვა ერებისთვისაც არ არის განურჩეველი, ვინ იცხოვრებს მათს ისტორიულ ტერიტორიაზე. ამ განურჩევლობას საერთო არაფერი აქვს არაცივილიზებულობასთან. დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ვერავინ ჩათვლის არაცივილიზებულად, მაგრამ მათ მიიღეს მიგრაციის შემზღუდავი უმკაცრესი კანონები.

ცივილიზებულობა გამოიხატება არა იმაში, რომ განუსაზღვრელი რაოდენობით შეისახლო გადამთიელნი, არამედ იმაში, რომ ისტორიულად მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს შეუქმნა მშვიდი, ადამიანური ცხოვრების პირობები. არ დაუშვა მათი დისკრიმინაცია. არ შეუშალო ხელი კულტურისა და ტრადიციების განვითარებაში.

ბალტიისპირელები, როგორც ჭეშმარიტად ცივილიზებული ერები ამ თვალსაზრისით სანიმუშონი არიან. ისინი ყოველგვარ პირობებს უქმნიან ეროვნულ უმცირესობებს თავიანთ რესპუბლიკებში.

ლატვიელ ულდის ბარზინშს სტატიაში „რა დგას სამართლიანობაზე მაღლა?" („დ. ნ.", 1989, № 6) შემოაქვს წინადადება, შეიქმნას საბჭოთა ერების წითელი წიგნი. „თუ ვხედავთ ქუჩაში დავარდნილ ადამიანს, — წერს უ. ბარზინში, — ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას. არ არის საჭირო ვუცადოთ, როდის მოეგება იგი გონს და გვთხოვს დახმარებას" (გვ. 240). უ. ბარზინშის აზრით, ასევე უკითხავად დახმარებას საჭიროებენ „დავარდნილი" ერებიც. თავად ლატვიელები ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ და გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, იდეალურ პირობებს უქმნიან თავიანთი რესპუბლიკების ეროვნულ უმცირესობებს (მაგალითები ამისა იხ. იმავე გვერდზე). ამ უდიდესი ჰუმანიზმისა და სიკეთის მიუხედავად, ზოგიერთ მიგრანტს თავი ისე უჭირავს, რომ ახალგაზრდა ლატვიელ ბარდს აღმოხდენია: „ჩემს სამშობლოს სახეში მიაფურთხეს. მინდა მოვწმინდო..." (გვ. 239).

და მართლაც, თუ გავეცნობით ბალტიისპირეთის ინტერფრონტების პროგრამებსა და საქმიანობას, დავრწმუნდებით, რომ ისინი ფურთხის ღირსად სთვლიან მკვიდრ ერებს, მათს სასიცოცხლო ინტერესებს. ბალტიისპირეთში რამდენიმე წლის წინ შემოსახლებულებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს სმოლენსკში ან კალუგაში იყვნენ. ესტონეთში ისინი „მოითხოვენ ახლადმიღებული ენის კანონის გაუქმებას, გრძელი ჰერმანის კოშკიდან ეროვნული დროშის ჩამოხსნას, ესტონეთის მოქალაქეობის კანონზე მუშაობის შეწყვეტას, ესტონეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში რუსული ავტონომიური ოლქის შექმნას და მისთვის თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას (თანაც ამ „ოლქის" დედაქალაქად ტალინს ასახელებენ)... ქარხანა „დვიგატელის" დირექტორმა, ინტერმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა დ. იარავოიმ ქარხნის ტერიტორიაზე ესტონეთის სსრ-ის კონსტიტუცია ბათილად გამოაცხადა" (იხ. ტ. კლასის სტატია, გვ. 225).

საინტერესოა, რით განსხვავდება ესტონეთის ინტერფრონტის (აგრეთვე, ცხადია, სხვა ინტერფრონტების) მოთხოვნები იმ მოთხოვნათაგან, რომლებსაც მესამე რაიხი უყენებდა დამონებულ ერებს?

ლატვიაში ზუსტად ისეთივე პოლიტიკა განხორციელდა, როგორც ესტონეთში. ამიტომ აღარ არის საჭირო მასზე დაწვრილებით მსჯელობა. ლიტვაში კი მდგომარეობა რამდენადმე სპეციფიკურია (რასაც მეორე წერილში შევეხებით).

რუსული პრესა სავსეა ბალტიისპირეთში მცხოვრებ რუსთა წერილებით, რომლებშიც წუწუნებენ მიგრანტთა „ჩაგრული" მდგომარეობის გამო. „ჩაგრულობის" ფაქტები მათ ვერ მოაქვთ, გარდა ენისა და მოქალაქეობის ახლადმიღებული კანონებისა. ასეთი კანონები კი ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოს აქვს. განა საფრანგეთში ან ამერიკაში ემიგრირებული ადამიანები დისკრიმინაციად აღიქვამენ ფრანგული და ინგლისური ენების სწავლის აუცილებლობას?

ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკში" (1989, № 7) დაიბეჭდა ერთ-ერთი ყველაზე პირწავარდნილი და აგრესიული ბნელეთის მოციქულის ალექსანდრე კაზინცევის ვრცელი, დაახლოებით ორ თაბახიანი სტატია, რომელშიც ავტორი ტრაგიკული ტონით ჩივის ბალტიისპირელთა (აგრეთვე მოლდოველთა) შოვინისტობასა და აგრესიულობაზე, რუსების ჩაგრულობაზე ამ რესპუბლიკებში. ა. კაზინცევის აზრით, ნაცმენები მარადიულ ვალში არიან რუსთა წინაშე იმის გამო, რომ რუსეთმა მათ მრეწველობა შეუქმნა. მაგრამ ჯერ ერთი, საბჭოთა ბალტიისპირეთის მეზობელ და მონათესავე ქვეყნებში (ფინეთი, შვეცია, ნორვეგია), სადაც რუსებს არაფერი აუშენებიათ, ყველაფერი გაცილებით უკეთ ნაშენია, ვიდრე ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. ესეც არ იყოს, განა დასავლეთის ყოფილი მეტროპოლიები — ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები და ა. შ. ამჟღლიან ყოფილ კოლონიებს, რომელთაგან ბევრს ნამდვილად ყველაფერი აუშენეს და შეუქმნეს? განა მეტროპოლიის მიერ წარმოებული კოლონიური მშენებლობები დაპყრობილ ერთა სამარადისოდ შენარჩუნების არგუმენტია?

ნურავინ იფიქრებს, რომ ამ პოზიციებიდან მხოლოდ შოვინისტური „ნაშ სოვრემენნიკი" და მისი სულიერად მოძმე გამოცემები უტევენ მოკავშირე რესპუბლიკებს. ასეთივე პუბლიკაციები უამრავი იყო „პრავდაშიც", „იზვესტიაშიც", „ლიტერატურნაია გაზეტაშიც", „დრუჟბა ნაროდოვშიც"...

ესტონელი პუბლიცისტის მატი ჰინდის აზრით („დ. ნ.", 1988, № 5), ინტერფრონტების დესტრუქციონისტური და შოვინისტური პოლიტიკის მიზეზი ის არის, რომ ბალტიისპირეთში უმთავრესად დაბალი კულტურის მქონე ადამიანები შესახლეს არაშავმიწანიადაგიანი რუსეთის სოფლებიდანო. მთლად ზუსტი არაა. განა რ. ს. ფ. ს. რ-ს მწერალთა კავშირის პოზიცია, გამოხატული მის მიმართვაში ესტონელთადმი, რითიმე განსხვავდება დ. იარავოის, ე. კოგანისა და ინტერფრონტის სხვა ლიდერთა პოზიციისგან? თუმცა, არის ერთი სხვაობა: რუსეთის ფედერაციის მწერალთა კავშირი უფრო არაორაზროვნად უთვლის მუქარას პატარა რესპუბლიკის მკვიდრ ერს. ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების პატრიოტული ძალები უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა „პრავდის" ფურცლებზე თვით „დრუჟბა ნაროდოვის" მთავარმა რედაქტორმა სერგეი ბარუზდინმა, ჩვენთვის, ქართველებისთვის კარგად ცნობილ სტატიაში. ასე რომ, საქმე მხოლოდ უკულტურობაში როდია.

მოლდოვაში შექმნილი სიტუაციის დაწვრილებით მიმოხილვას აღარ შევუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ რესპუბლიკაში ზუსტად ლატვიისა და ესტონეთისათვის დამახასიათებელი ვითარებაა; იქაც უაღრესად აგრესიულად უჭირავთ თავი იმპერიულ ძალთაგან წაქეზებულ მიგრანტებს. „პრავდაში" (6. X. 1989) გამოქვეყნდა ე. კონდრატოვის სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ მოლდოვეთის ინტერფრონტი მოითხოვს აეკრძალოთ მოლდოველებს ლათინურ დამწერლობაზე გადასვლა (მოლდაველები ოდითგანვე ლათინური ანბანით სარგებლობდნენ, მაგრამ 30-იან წლებში ისინი, მრავალ სხვა ერთან ერთად, იძულებით გადაიყვანეს კირილიცაზე); ინტერფრონტი მოითხოვს აგრეთვე, რომ აღიკვეთოს და დაგმობილ იქნას, როგორც ძირგამომთხრელი საქმიანობა, მსჯელობა მოლდოვური და რუმინული ენების ნათესაობის თაობაზე (არადა, მოლდავური და რუმინული არათუ მონათესავე ენები — არსებითად ერთი ენაა); მოლდოველებს უბრძანებენ უარი თქვან ეროვნულ სამფეროვან დროშაზე; ტირასპოლელი რუსულენოვანი მუშები აყენებენ ულტიმატუმს მოლდოველთა მიერ არჩეული დეპუტატებისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის თაობაზე და ა. შ.

ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია.

## უშანგ სახლთხუციშვილი

# ცრუობს!

**1989 წ. ოსურ** ჟურნალ „ფიდიუაგის" მესამე ნომერში გამოქვეყნდა გიგო მამითის სტატია „გვარების შეცვლა". ამ პატარა წერილში მრავალ საყურადღებო ცნობას ამოიკითხავს კაცი. ზოგი შეიძლება მართალი იყოს, ზოგი — ყურმოკრული, ზოგიც აშკარა ტყუილი. ავტორის მსჯელობა ზოგიერთი გვარის წარმომავლობაზე უსუსური და დაუჯერებელია, ხშირად ღიმილის მომგვრელიც.

ავტორი თავის წერილს ასე ამთავრებს: „ენების ცოდნა ბედნიერებაა— განსაკუთრებით სახელმწიფო და მეზობელი ხალხების ენებისა. მაგრამ წინაპართა ენისა და ეროვნების უცოდინარობა ძალზე სამარცხვინო საქმეა". შეუძლებელია ამ აზრს არ დაეთანხმოს მკითხველი. ქართველები იტყვიან, რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო. სახელმწიფო ენაში, ცხადია, რუსულს გულისხმობს, მეზობელი ხალხების ენაში, ალბათ, ქართულსაც ვარაუდობს. წინაპართა ენა და ეროვნება რომ აღარ იცის კაცმა, ეს მარტო სამარცხვინო კი არ არის, ერის, სამშობლოს ღალატია. ოღონდ უნდა ვიცოდეთ, ვის ვუყენებთ ასეთ ბრალდებას. თუ ეს არ ვიცით, შეიძლება უდანაშაულო ადამიანებს დიდი შეურაცხყოფა მივაყენოთ და სამუდამოდ ვატკინოთ გული. ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, სხვას რომ შენიშვნას აძლევს, აქვს კი უფლება ამ შენიშვნის მიცემისა? წერილის ავტორს სწორედ ეს ჭეშმარიტება დავიწყებია და თავისი არაკომპეტენტურობის გამო ბევრ ჩვენს თანამემამულეს აყენებს შეურაცხყოფას. აი, სწორედ ამან ამაღებინა ხელში კალამი.

დავიწყოთ თავიდან. „ბევრი ოსი გაქართველდა. ამის მიზეზი სხვადასხვაა" — დასაწყისშივე პირდაპირ აცხადებს ავტორი. მერე გზადაგზა თითქოს გვიხსნის ამ გაქართველების მიზეზებს. „ოსებს მთებში მიწები არ ჰყოფნიდათ და იძულებულნი იყვნენ ქართულ სოფლებში ჩამოსახლებულიყვნენ". ეს რომ წავიკითხე, გაოცებული დავრჩი. ავტორი მეტად გაბედული კაცი მეჩვენა. გავიფიქრე, სამაჩაბლოშიც ყოფილან ადამიანები, რომლებიც „ადამონ ნიხასის" მესვეურთა უსაფუძვლო პრეტენზიებს არ ეთანხმებიან და ამას პრესაშიც თამამად აცხადებენ-მეთქი. მაგრამ მოვტყუვდი. წერილის ავტორს მხოლოდ ობიექტური კაცის ნიღაბი აქვს აფარებული. თუმცა, მივყვეთ წერილს და თქვენ თვითონ დაინახავთ.

ოსების **„გვარებს ქართველები თავიანთებურად აკეთებდნენ. ზოგს შვილს უმატებდნენ, ზოგს ძეს, ზოგს კი ურ-ს. ამის შემდეგ მათი შთამომავლებიც ასე იწერებოდნენ, რომელთაგან ახლაც ბევრმა იცის ოსური ენა, ახსოვთ, რომ ოსები არიან და ეროვნებადაც ოსს იწერენ. იციან თავიანთი წარმოშობაც, ბევრმა კი აღარც ენა იცის და აღარც წარმოშობა ახსოვს. ასეთებს რომ უთხრა, ოსი ხარო, ეწყინებათ კიდეც** — მკითხველო, კარგად დაუკვირდით აქ მოტანილ ციტატას, რადგან მერე კიდევ უფრო დაასვავებს ბრძნულ აზრებს და გვარების წარმომავლობის ცოდნაში ისეთ „კომპეტენტურობას" გამოამჟღავნებს ავტორი, რომ თმა ყალყზე დაგიდგებათ — წიგნში წერია: **„თავადი წერეთლების გვარი წარმოშობით ოსურია,** მათი წინაპრები ცადარის მხარის ბატონები ყოფილან". ამას დაწერს პატივცემული ავტორი და მერე უკვირს: **„ასეთებს რომ უთხრა, ოსი ხარო, ეწყინებათ კიდეც".**

რა უმადურები ვართ ეს ქართველები, ჩვენ რომ ვერ გაგვირკვევია წერეთლების წინაპრები ქართლიდან (სოფელ წერეთიდან) იყვნენ თუ საინგილოდან, პატივცემულმა გიგო მამითმა უცებ მოგვიხსნა პრობლემა. წერეთლების წინაპრები არც ქართლიდან მოსულან და არც საინგილოდან, ოსები ყოფილან, ცადარის მხრიდან. თქვენც, წერეთლებო, კი არ უნდა გეწყინოთ, რომ ოსები ხართ, მადლობა უნდა უთხრათ ავტორს; არ შეედავოთ და საბუთი არ მოსთხოვოთ. მერე რა, ავტორს საბუთი თუ არა აქვს, სწორედ იმიტომ, დამაჯერებელი რომ გახადოს თავისი მოსაზრება, რამდენიმე მკვლევარს „გაიამხანაგებს", როგორც ოსებს (დ. ბეკოევს, ზ. გაგლოევას, ბ. კალოევს), ისე ქართველებს (ი. მაისურაძეს, გ. ჯამბურიას).

მე, რა თქმა უნდა, ყველა ამ ავტორის ნაშრომის შემოწმება ვერ მოვახერხე, მაგრამ რაც შევამოწმე, იქ მსგავსი არაფერი წერია. წერილის ავტორის განცხადება მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. გ. მამითი ქართველ მკვლევარს, ილია მაისურაძეს მიაწერს, თითქოს იგი თავის წიგნში „ქართული გვარ-სახელები" ოსურიდან წარმოშობილ ასზე მეტ გვარს თვლის". წერილის ავტორი ჩამოთვლის ამ გვარებს. ჩვენ ასივე გვარს ვერ ჩამოვწერთ, აქ, მოვიტანთ ყველასათვის ნაცნობ გვარებს: **აღნიაშვილი, ბათიაშვილი, ბარათაშვილი, სალაშვილი, გუდიაშვილი, ელბაქიძე, თაყაიშვილი, თარხნიშვილი, თედიაშვილი, სააკაძე, სიდამონიძე, წერეთელი, ხარებავა, ჯიბლაძე, ჭულაშვილი...**

კიდევ ვიმეორებ, ი. მაისურაძეს ასეთი რამ არსად არ უთქვამს. ეს წერილის ავტორის იონბაზობაა. შეიძლება აქ დასახელებულ გვარს ოსიც ატარებდეს (შეიძლება სომეხიც, სხვაც!), მაგრამ ეს იმას რატომ უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი, ამ გვარის მატარებლები, ყველანი ოსები არიან და ქართველები კი არავინ? რა საბუთი გიჭირავთ ხელში, ბატონო გიგო?

წერილის ავტორი იმოწმებს დ. ბეკოევს და ამბობს, რომ „მცხეთის რაიონში აღრიცხულია ოსური გვარები: აბაშვილი, ცაბაშვილი, რუბაშვილი, თაყაიშვილი, ბედოშვილი, ყამბეგაშვილი, მელაძე..." ეტყობა მამითისათვის ეს ბეკოევი დიდი ავტორიტეტია, რადგან ხშირად მოუხმობს ხოლმე: „ზოგიერთი **ოსური გვარი** — წერს შემდეგ დ. ბეკოევი — ქართულად ორ-სამნაირად გადაკეთებული: ბესთაშვილი — ბესთაევაშვილი — ბესთალაშვილი, თაბუშვილი — თაბუკაშვილი, თედეშვილი — თედიაშვილი — თედელური, ხუბულაშვილი — ხუბულური, მარგიშვილი — მარგიანი... ამათ ყველას ოსური შესატყვისი აქვთ,"—წერს გ. მამითი. ალბათ, ამას თუ გულისხმობდა წერილის ავტორი, როცა წერდა: ოსების „გვარებს ქართველები თავიანთებურად აკეთებდნენო"... ე. ი გიგოსა და მის ამხანაგს, დ. ბეკოევს, თუ დავუჯერებთ, ამ მარგიშვილებსა და მარგიანებს, თედიაშვილებსა და თედეშვილებს, თაბუკაშვილებს საკუთარი ოსური გვარებიც (შესატყვისები) ჰქონიათ. მერედა, როგორია ეს გვარები, სად გვხვდებოდა, ან რა დაემართა, ამაზე არაფერს გვეუბნებიან. თუმცა არა, წერილის ბოლოში რაღაცას მიგვანიშნებს პატივცემული ავტორი. **„XVIII საუკუნის შემდეგ ოსებმა რუსული გავლენა განიცადეს. ოსურ გვარებს რუსები თავიანთებურად წერდნენ. გვარის ფუძეს უმატებდნენ რუსულ სუფიქსებს — ოვ და ევ-ს და მივიღეთ ალბორთი — ალბოროვი, „ჯიოითი — ჯიოევი, ხუბულთი — ხუბულოვი და ა. შ. ოსებმა ეს პროცესი უმტკივნეულოდ მიიღეს. პირიქით ეადვილათ კიდეც".** როგორც ვხედავთ, ოსური გვარები ყოფილა: ალბორთი, ჯიოითი, ხუბულთი... ავტორს ეტყობა სჯერა, რომ, როცა ოსები ჩვენთან ჩამოსახლდნენ, ასეთი გვარები ჩამოიყოლეს. თუმცა, ამაზე ქვემოთ ვისაუბროთ.

მკითხველი, ალბათ, შენიშნავდა, თუ როგორ ემლიქვნელება წერილის ავტორი რუსებს, **„ოსებმა ეს პროცესი — ოვ, ევ, რომ დაუმატეს მათ გვარებს, უმტკივნეულოდ მიიღეს და ეადვილათ კიდეც".** ქართველებმა რომ — შვილი, — ძე, — ური „დაუმატეს", ეს, რაღა თქმა უნდა, ეძნელათ. ალბათ, სულ ამის ბრალია, რომ „ამჟამად ოსურ სოფლებშიც აღარ არის ოსური სკოლები. ხალხი ივიწყებს მშობლიურ ენას". ამას რომ წაიკითხავ, გული გეტკინება და თანაგრძნობით განიმსჭვალები. მაგრამ იქვე რომ დაწერს ავტორი **„გარდა ამისა საკავშირო აღწერის დროსაც ბევრი ოსი ქართველად ჩაეწერა".** გინდა შეუძახო ასეთ პროვოკატორს: „რატომ ცრუობ, შე მამაცხონებულო, რომელი ჩაეწერა ქართველად, ის ქართველი, ძალით რომ აოსებდით და არ დაგანებათ, თავის მამულში ენა წაგერთმიათ?"

თქვენ თუ ნამდვილი პატრიოტები ხართ, უმტკივნეულოდ კი არ უნდა მიიღოთ და გეადვილოთ გვარის გადაკეთება (თუ მართლა გაქვთ ასეთი გვარი!) და მშობლიურ ენაზე სწავლების აკრძალვა, ეროვნული თავმოყვარეობის შელახვად უნდა ჩათვალოთ.

ისე, კაცმა რომ თქვას, ოსებმა, როგორც უნდათ ისე მიიღონ „ეს პროცესი", ეს მათი საქმეა, ოღონდ გ. მამითის ამ განცხადებაში ეშმაკურად შეპარებული ბრალდება ამოვიკითხე ქართველების მიმართ. მის ნათქვამს თუ ჩავუკვირდებით, ჩვენ და რუსებს „ერთნაირი დანაშაული" მიგვიძღვის ოსების წინაშე, რადგან მათი გვარები ჩვენ ჩვენებურად გადაგვიკეთებია, რუსებს — თავისებურად. ეს უმნიშვნელო ბრალდება არ გეგონოთ, წერილის ავტორი ჩვენც მჩაგვრელის იარლიყს გვაწებებს. მაგრამ საკითხავია, როცა ჩვენთან ჩამოსახლდნენ ოსები, ჰქონდათ კი გვარები? ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბროთ.

წერილის ავტორი ერთგან წერს: **„არიან გაოსებული ქართველებიც. ზნაურის რაიონში ცხოვრობენ ოდიკაძეები, პაპაშვილები, მათ წმინდად იციან ოსური ენა, მაგრამ მაინც ქართველებად ეწერებიან. ლენინგორის ხოფ. დორელთკარში ცხოვრობენ ქართველები, თუმცა მათი სალაპარაკო ენა ოსურია, ისინი მაინც ქართველებად ეწერებიან, ქოლოთელმა ჩხითაურებმა ქართული კარგად აღარ იციან".** საოცარი სურათია. უცნაურია, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ავტორის მსჯელობა. ოდიკაძეებმა და პაპაშვილებმა რაკი „წმინდად იციან ოსური ენა", ამიტომ ოსებად უნდა ჩაეწერონ? თან უკვირს კიდევაც, „მაინც ქართველებად თვლიან თავსო". დორელთკარელებსა და ქოლოთელებს კი, ავტორს თუ დავუჯერებთ, დიდი ხანია ქართველობა უნდა უარეყოთ, რადგან მათ უკვე კარგად აღარ სცოდნიათ ქართული ენა. კი მაგრამ, ბატონო მკვლევარო, ამას რომ წერდით, ერთხელ მაინც არ დაფიქრდით ამ ადამიანების ბედზე, ნუთუ თქვენ, ოს ინტელიგენტებს, ამდენი პრეტენზიები რომ გაქვთ ქართველების მიმართ, ასეთი დანაშაული უნდა ჩაგედინათ და საკუთარ სამშობლოში დაგევიწყებინათ მათთვის დედაენა? ესაა თქვენი ინტერნაციონალიზმი, თქვენი ჰუმანურობა? ან იქნებ სამაჩაბლო აღარაა ქართველების სამშობლო?

**„არის სადაო გვარებიც,** — აგრძელებს თავის აბსურდულ მსჯელობას გ. მამითი, **ზოგი ამტკიცებს (ნეტავი ვინ? — უ. ს.), რომ გვარი სააკაძე სომხური სააკიანიდან მომდინარეობს, ზოგი მათ საჭკაევების შთამომავლებს უწოდებს".** ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო. ხედავთ, სად ეპოტინება ავტორი? თანაც ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან, თურმე ოსები და სომხები ერთმანეთს ედავებიან გიორგი სააკაძის მითვისებაში. ესეც ჩვენი მიწა-წყალი გაუხდათ? — იკითხავს გაოგნებული ქართველი.

რა საბუთი მოაქვს ავტორს, როცა ამას წერს? ქართველ მკვლევარს იმოწმებს, საყვედურობს კიდეც. „გ. ჯამბურია წიგნში „გიორგი სააკაძე", თბ. 1988 წ. წერს, რომ სააკაძე დაბადებულა ატენის ხეობაში, სოფელ ფლავში, მაგრამ რა ეროვნებისა იყო, არ წერია". როგორ გაბედეთ ეს, ბატონო ჯამბურია, მანდ ფლავში ხომ „ახლაც ცხოვრობენ საჭკაევები და ზოგი მათგანი სააკაშვილად ეწერება". რატომ არ დაწერეთ თქვენს წიგნში, რომ ეს საჭკაევები და სააკაშვილები იგივე სააკაძეები არიან, ანუ დიდი მოურავის შთამომავლები? გიორგი სააკაძის მემკვიდრეები ხომ თარხნიშვილებად და მოურავიშვილებად დაეწერნენ. ოსებში კი გვხვდება გვარები „თარხანთი და მოურავთი", განა ეს არ მოწმობს, რომ თარხნიშვილებიც, მოურავიშვილებიც და მათი დიდი წინაპრებიც ოსები არიან?

ვაი, ასეთ მსჯელობას, ვაი, ასეთ მეცნიერებას! კი, შეიძლება რაღაც იცრუო, თუკი არაფრად გიღირს მეცნიერული სინდისი და პატიოსნება. მაგრამ, ნუთუ გგონია, ამას ვერავინ მიხვდება, ვერავინ გამოარკვევს, ვერავინ შეამოწმებს? **„ყვარლის რაიონის ხოფ. ჭიკაანში ოსები სააკაძეებად ეწერებიან",** დააბრეხა ავტორმა, თან **გულმშვიდად გაგვანდო, ეს ცნობა ავგარ ხავლოხთიმ მომაწოდაო** (სააკაძეების ოსობა ზემოთ კი ი. მაისურაძეს დაბრალა!). სინამდვილეში არა თუ ამ სოფელში, მთელ ყვარლის რაიონში სააკაძე არავინ ცხოვრობს! (თუ ახლა გადაიკეთა ვინმემ გვარი, არ ვიცი. გახსოვთ, ალბათ, ამ რამდენიმე ხნის წინათ ვიღაც ყალთაბანდმა ფუხაევამ ჭავჭავაძედ რომ გაასაღა თავი და თანაც ილიას ახლო ნათესავი ვარო, თვალებს გვიბამდა!)

ისე კი, თუ გ. მამითს დავუჯერებთ, ამ საჭკაევების გვარი X-XI საუკუნეშივე უნდა ყოფილიყო (თანაც რუსული დაბოლოებით, რადგან უმტკივნეულოდ მიიღებდნენ) რაკი ისინი სააკაძეების წინაპრები არიან. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სააკაძეების ფეოდალური გვარი XII საუკუნიდან გვხვდება. ბატონო მეცნიერო, სადაა აქ ლოგიკა?! განა შეიძლება X-XI საუკუნეში ოსებს გვარები ჰქონოდათ? მაშინ ხომ გვარი (თანამედროვე გაგებით!) ჯერ კიდევ არ არსებობდა?! თუ თქვენ გგონიათ, რომ ოდითგანვე არსებობდა გვარები?

წერილის ავტორს ერთი ნაწყვეტი უნდა შევახსენო ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!", ოღონდ, არ ვიცი, რუსულად აღზრდილი თუ ბრძანდება, შეიძლება წაკითხულიც არ ჰქონდეს ეს ნაწარმოები.

ლუარსაბი და დარეჯანი ხშირად კამათობდნენ სხვადასხვა საკითხზე. ერთხელ გვარზედაც ჩამოვარდა საუბარი. ლუარსაბმა დაიტრაბახა, თათქარიძეები ადამ და ევას დროიდან მოდიანო. დარეჯანი არ დაეთანხმა, ადამის დროს თავადებს რა უნდოდათო. დარეჯანს რომ სცოდნოდა გვარის წარმოშობის ისტორია, ლუარსაბი თუმცა უყვარდა, პირში მიახლიდა: რას ამბობ, შე ჩერჩეტო, მაშინ გვარს რა უნდოდაო, გვარი ხომ სულ ახლახან გაჩნდა.

დიახ, ბატონო მეცნიერო, გვარი სახელთან, მეტსახელთან და მამის სახელთან შედარებით გვიან წარმოიშვა. ამას გვიდასტურებს საისტორიო წყაროები, სხვადასხვა საბუთები, მხატვრული ლიტერატურა. დიდად ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი გვარის წარმოშობა 9-10 საუკუნის იქით არ მიდის. ბევრ ევროპულ ხალხში იგი მხოლოდ XVIII-XIX ს.ს. გაჩნდა. შორს რომ არ წავიდეთ, ბალტიისპირეთის ხალხებმა, კერძოდ ლატვიელებმა გვარები ოფიციალურად 1822-29 წლებში მიიღეს. ჰა?! ხომ არ გაოცდით, ბატონო მკვლევარო? ან იქნება ლატვიელები ცივილიზებული ერი არა გგონიათ?

ქართველებს „დეკრეტით" არ მიუღიათ გვარები. ამიტომაც ძნელია ზუსტი თარიღის დადგენა. საისტორიო წყაროებს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ ქართველ ფეოდალებს X-XI საუკუნეებში უკვე ჰქონდათ გვარები: **აბაზასძენი, აბულეთისძენი, აბუსერიძენი...** ამის დასტური გაბლავთ. შეიძლება დიდმა ფეოდალებმა უფრო ადრეც მიიღეს გვარები, მაგრამ, ეს რომ დავამტკიცოთ, უტყუარი ფაქტები უნდა გვქონდეს ხელთ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" ბევრი ისტორიული პირი გვხვდება: გრიგოლი, საბა, ზენონი, ეფრემი, არსენი... რომლებიც [illegible] ლების შვილები არიან, მაგრამ გვარით არსად არ მოიხსენიებიან. გვარი რომ ჰქონოდათ, უეჭველად აღნიშნავდა ავტორი. თუმცა გიორგი მერჩულე ერთგან მაინც ასახელებს ერთ-ერთ ფეოდალურ გვარს: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და **აწ ნათესავთა მისთა ჰრქვიან დაფანჩულნი".** როგორც ვხედავთ, გაბრიელის შთამომავლებს თავიანთი დიდი წინაპრის სახელი (მეტსახელი) გვარად გაუხდიათ. „აწ" გულისხმობს X საუკუნის შუა წლებს, ე. ი. იმ დროს, როცა ნაწარმოები იწერებოდა. რა გვარი იყო თავად გაბრიელი, ეს ჩვენთვის უცნობია. ვფიქრობ, რომ გვარი (იმ გაგებით, როგორც ახლა გვესმის!) მას არ ჰქონდა. VIII საუკუნის ბოლოს, როცა გრიგოლი და მისი თანამოაზრენი სამოღვაწეოდ გამოდიან, იწერება შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები „ჰაბოს წამება", რომლის ავტორიც არის **იოანე საბანისძე.** „მე, სამოელ... კათალიკოზი, უფალსა **იოანეს საბანისძესა...** ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ", სწერს ქართლის კათალიკოსი. სწორედ ამ წერილიდან ვიგებთ, რომ ეს ნაწარმოები დაუწერია **იოანე საბანისძეს.** მაგრამ **„საბანისძე"** იოანეს გვარიაო, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. აქ იგი უფრო მამის სახელი ჩანს. გვარად კი მაშინ ჩაითვლება, თუ გვეცოდინება, რომ იოანეს შვილებიც **საბანისძეები** იყვნენ, მაგრამ ისინიც თუ მამის სახელის მიხედვით **იოანესძეები** გახდნენ, მაშინ არც **საბანისძეა** გვარი და არც **იოანესძე.** თუმცა, კი უნდა ითქვას, რომ ასეთი ფორმები მაშინ, ალბათ, ერთგვარად ასრულებდნენ „გვარის" ფუნქციას. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს დროშიც კი ასეთი ვითარება იყო მეზობელ აზერბაიჯანში (სხვაგანაც!) აქ ერთ ოჯახში ყველა თაობას საკუთარი „გვარი" ჰქონდა. პაპას თუ მამედი ერქვა, შვილი მამედოვი იყო, შვილს თუ ისმაილი ერქვა, შვილიშვილი — ისმაილოვი და ა. შ. ეს რამდენიმე ათეული წელია აქაც „დამკვიდრდა" გვარები. ე. ი. პაპა, შვილი და შვილიშვილი ერთ გვარს ატარებენ...

გვარი, როგორც გითხარით, ძირითადად მამიშვილობისაგან მომდინარეობს. ასეთი სახელი გვარად მაშინ ჩაითვლება, თუ მას რამდენიმე თაობა მაინც ატარებს...

არა, ბატონო გიგო, ონომასტიკასთან ხუმრობა არ შეიძლება. ჩემი აზრით, ოსებსაც XVIII-XIX საუკუნემდე გვარი არ უნდა ჰქონოდათ. რომ ჰქონოდათ, სადმე ქართულ წყაროებში იქნებოდა და აქამდე დაძებნიდით: ოსებმა გვარები გაიკეთეს იმ ხალხის გვარების მოდელის მიხედვით, ვისთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ, ასეთი ხალხი კი ქართველები არიან, ეს ჩემზე კარგად მოგეხსენებათ. გვარი ხომ ძირითადად მამისშვილობისაგან მომდინარეობს. მამას თუ ხეთაგი ერქვა, მისი შვილი **ხეთაგაშვილი** (ხეთაგოშვილი) იქნებოდა ან **ხეთაგური, ხეთაგაძე, ხეთაგიანი...** ასე რომ, ქართველებმა კი არ ჩამოაცილეს ოსურ გვარებს ოსური დაბოლოება, როგორც თქვენ გვდებთ ბრალს, არამედ ოსებმა თავიანთ მამის სახელს მიუწერეს ქართული დაბოლოებები: შვილი, ძე, ური, ე. ი. გამოიყენეს ქართული მოდელი. ის დაბოლოებაც, თქვენ რომ ოსური გვარების მაწარმოებლად მიგაჩნიათ, წარმოშობით არ უნდა იყოს ოსური. თქვენ ხომ წერთ: **„მხოლოდ უკანასკნელ ხანებში გაჩნდა ტენდენცია, რუსულად დამახინჯებული ოსური გვარი ოსურად დაიწეროს, ინტელიგენციის წარმომადგენლები უკვე ასე იწერებიან: ალბორთი, ჯუსოითი, ჩეთოითი, ბაგლოითი..."** ალბათ, სულ მალე მთელი ოსები ასე გაიფორმებენ გვარებს. ეს თქვენი საქმეა. მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. წაიკითხავს (ან მოისმენს) კაცი და მაშინვე მიხვდება, რომელი ერის წარმომადგენელზეა საუბარი. მე არც ის მაწუხებს, რომ ეს სუფიქსიც ქართული ენიდან გაქვთ შეთვისებული, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ! მაგრამ ის კი მაწუხებს, რომ ახლაც რაღაც იეშმაკეთ. აბა, როგორ გავიგოთ თქვენი ნათქვამი, „გაჩნდა

(დასასრული მე-8 გვ.).

(დასასრული)

ტენდენცია, რუსულად დამახინჯებული ოსური გვარი ოსურად დაიწეროს?“ (თუმცა ზემოთ რუსებს ემლიქვნელებოდით და ამბობდით: „უმტკივნეულოდ მიიღებ და ეალდვილათ კიდევაც“, დაგავიწყდათ? მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ). რატომ არაფერს ამბობთ „ქართულად დამახინჯებულ ოსურ გვარებზე“, განა ისინი არ უნდა დაიწეროს ოსურად? გითხრათ, რატომ? თქვენ ძალიან კარგად იცით, რომ ეს „ოსური ფორმაც“ ქართულია! განა სამაჩაბლოს ქართველობა თავიანთ გვარებს მაგ ფორმითაც არ ხმარობს?!

ხომ არ გაგიკვირდათ, რაც ახლა გითხარით? არა, არ უნდა გაგკვირვებოდათ, რადგან მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ეგ ფორმაა გავრცელებული, ზეპირმეტყველებაშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც. მაგ. ოთარაანთ ქვრივი, შებრუნებული წყობით — ქვრივი ოთარაანთი. ზოგ დიალექტში (ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურში, ჯავახურსა და მესხურში, თქვენთანაც, ქსნის ხეობაში) ასეთი წარმოება კიდევ უფრო გამარტივებულ-დახვეწილია. იტყვიან: უშანგ ჯანგირათი (ჯანგირაშვილი), გიორგი ლურბელათი (ლურბელაშვილი), ვახტანგ თვარელათი (თვარელაშვილი), პავლე მუშტათი (მუშტაშვილი) და სხვა.

ქართულში გვარების ასეთი წარმოებაც არ გახლავთ ახალი, მას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იმასაც შეგახსენებთ, რომ გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი და მამულიშვილი **მიხეილ თამარაშვილი** საქვეყნოდ ცნობილია, როგორც **თამარათი!** იქნებ ისიც ოსი იყო? **გიორგი სააკაძე, ლადო გუდიაშვილი, იოსებ ჯუღაშვილი...** (არა, ჯუღაშვილი ახლა აღარ გინდათ, ყველა ლანძღავს და აგინებს, მათ შორის „დიდი ძმაც“, „დაუტოვეთ“ ისევ ქართველებს!) ხომ „მიითვისეთ“ ესენი? ალბათ, **მ. თამარაშვილსაც (თამარათს)** მალე აქცევთ ოსად!

ბატონო მკვლევარო, ეს წარმოებული თუ ქართულიდან არაა ოსურში შესული, მაშ რატომ გაჩნდა ოსურ გვარებში ამ ბოლო დროს, თანაც ჩვენს მეზობლობაში და არა თქვენს ნამდვილ სამშობლოში, ოსეთში? საქართველოში მაცხოვრებელ ოს მწერალთაგან ათს მაინც აქვს უკვე ახალი დაბოლოებით გაფორმებული გვარი, იქ ნამდვილ სამშობლოში კი — მხოლოდ ერთს. როგორც თქვენი სტატიიდან ჩანს, სამაჩაბლოში უკვე ბევრი იკეთებს ეგრე გვარს, ქ. ორჯონიკიძეში, ოსეთის დედაქალაქში კი — მხოლოდ ხუთ გვარს (ხუთ ოჯახს) აქვს ასეთი დაბოლოება.

რატომ იცრუა წერილის ავტორმა ამდენი? რატომ აქცია ქართული გვარები ოსურად? მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა, დაიჯეროს სამაჩაბლოს ოსობა (სხვაგან მაცხოვრებელიც) თითქოს ქართველებმა შეუცვალეს მათ გვარები, დააკარგვინეს ენა, დაავიწყებინეს ეროვნება, თან ნამუსში აგდებს იმ ქართველებს, ვის გვარსაც ოსებიც ატარებენ, თქვენც ოსები იყავით, მაგრამ გადაგაქართველესო და თან უკიჟინებს: „წინაპართა ენისა და ეროვნების უცოდინარობა ძალზე სამარცხვინო საქმეაო“.

გოგო მამითმა ტერტერასაგით მოისროლა ულელი, იქნება კურდღელს მოხვდესო. მან იცის, რასაც აკეთებს, იცის, რომ შეიძლება ბევრი წამოეგოს მის ანკესს. ბევრი (პირველ რიგში მათ, ვის გვარსაც ოსებიც ატარებენ!) დააეჭვებს თავისი გვარის წარმომავლობა და შეიძლება მართლა დაიჯეროს ეს სიცრუე.

კიდევ მინდა შეგახსენოთ! **წერილის ავტორს არ დაუჯეროთ, ცრუობს! მისი მსჯელობა ცალმხრივი და ტენდენციურია. წერილში რაც კი გვარები ჩამოთვალა, არცერთი არაა ოსური, ყველა ქართული გვარი გახლავთ, მაგრამ ამ ქართულ გვარს შეიძლება ოსიც ატარებდეს, ეს კი ყველაზე კარგად თვითონ ოსებს ეცოდინებათ. ავტორს ის უფრო აწუხებს, ოსები რომ ქართულ გვარებს ატარებენ, ამიტომაც არ მოერიდება და ისე განაცხადებს: რუსული დაბოლოება „ოსებმა უმტკივნეულოდ მიიღეს და... ეადვილათ კიდეც“.**

**ამ სიმართლით იაროს!**

# ცრუობს!

# მომისმინეთ, ბატონო კაპიტალისტებო!

**ბახსოვთ,** ალბათ, მუდამჟამს მშიერი, ჩამოძონძილი მაწანწალა პანიკოვსკი, სოგიკე რომ მოიგონა და მილიონერ კორეიკოს ყვირილით დასდევდა: „მომეცი მილიონი! მომეცი მილიონი!“.

უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ჩვენი უმაღლესი ხელისუფალნი, ხშირად რომ ეწვევიან ხოლმე მდიდარი, ცივილიზებული ქვეყნების პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებს, ძალიან წააგვანან საწყალ მიხაილ სამუილოვიჩს, ამ უპასპორტო ადამიანს.

თქმა არ უნდა, დახმარების გარეშე ფონს ვერ გავალთ. გვესაჭიროება ინვესტიციები. უბრალოდ, შემოწირულებანი (როგორც ამას კანცლერი კოლი აკეთებს), სესხები, დაბანდებანი ეკონომიკაში.

რაღაც-რაღაცეებს უკვე ვიღებთ. და მათაც შეიძლება გაუგონ, მათქენ გამგეობს ხელს ცარიელს რომ არ სტოვებენ. ჯერ ერთი, ატომურ კბილებიან-ბრჭყალებიანი კომუნისტური დინოზავრის აგონია ყველას აშინებს. მეორეც, ჯერ კიდევ მოქმედებს გორბაჩოვის ხიბლი. მაგრამ დახმარება არც ისე დიდია, ამკარად არ შეესაბამება მოთხოვნებს. და იმედი, რომ ძლიერ გაიზრდება, დღითიდღე კლებულობს.

ამის გაგებაც შეიძლება.

ჩვენ ვოცნებობთ ახალ „მარშალის გეგმაზე“. კარგი იქნებოდა, რასაკვირველია, მაგრამ...

მართლა და მართლა, გიჟები ხომ არ არიან ბატონი კაპიტალისტები! არც გულუბრყვილონი მოიძებნებიან მათ შორის.

საქმე იმაშია, რომ ჩვენი სამგზის წყეული სისტემა დღემდე ატარებს უაღრესად ბოლშევიკურ ხასიათს. თუკი რამე მოგვიტანა თითქმის ექვსწლიანმა პერესტროიკამ, ერთადერთი, ეს არის თავისუფალი ლაპარაკის იძულებითი დაშვება... სწორედ რომ იძულებითი!

მარქსისტ-ლენინელებს თავისი „ეკონომიკური მონაპოვრებიდან“ ჯერჯერობით არაფერზე უთქვამთ უარი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მათ პოლიტიკურ აზროვნებასაც არ განუცდია რაიმე ცვლილება.

მარქსისტულ-ლენინური ბოლშევიზმის ერთადერთ მიზანს, მისი არსებობის აზრს წარმოადგენს გამარჯვება მსოფლიო მასშტაბით. და, დე, ნურავის მოატყუებს მსჯელობა „ახლებურ აზროვნებასა“ და „საკაცობრიო ღირებულებებზე“. მთელი ეს ყბედობა მეშინდობ და გულუბრყვილო ადამიანებზეა გათვლილი.

ბოლშევიკები მოლაპარაკებაზე მიდიან მხოლოდ ერთ შემთხვევაში — როცა მათი მდგომარეობა კრიტიკული, ანდა სულაც უიმედო ხდება. მიიღებენ რა შესვენებას, მითუმეტეს, დახმარებას, ისინი, როგორც კი სულს მოითქვამენ, ძალებს მოიკრებენ, ისევ აჩვენებენ თავიანთ კაციჭამიურ ბუნებას. დაე, მსოფლიოში ნურავის შეეპარება ეჭვი იმაში, რომ ისინი კვლავაც ეცემიან „ბატონ კაპიტალისტებს“ ყელში.

საჭიროა აბსოლუტურად მტკიცე გარანტიები, რომ ბოლშევიზმის ბოდვითი თეორია და პრაქტიკა სამუდამოდაა დამარხული.

ხოლო სანამ ეს არ მომხდარა (ჩვენი ხელისუფლება კი არავითარ საფუძველს არ იძლევა ამგვარი იმედებისათვის), ყოველი დოლარი, გაღებული საბჭოთა ეკონომიკის გადასარჩენად, — იმ ეკონომიკისა, რომელიც ემყარება კერძო საკუთრების, კერძო მეწარმეობისა და სულიერი თავისუფლების ჩახშობის ველურ იდეას, — ნიშნავს საკუთარი დაღუპვის (ამჯერად, უკვე, საბოლოო და შეუქცევადი დაღუპვის) დაფინანსებას.

არ მინდა ლიტონი მსჯელობა გამომივიდეს.

სულ ახლახანს, უკვე „ბაზარზე“ გადასვლის ოფიციალური გამოცხადების შემდეგ, გამოვიდა პრეზიდენტის ბრძანებულება სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ ბრძანებულებაზე უფრო სულელური რამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. გაზეთი „პრავდა“ მაშინვე ნიშნის მოგებით ბეჭდავს ინფორმაციას ამგვარი ბრძოლის ერთ ეპიზოდზე.

საქმე ასე იყო. ჩრდილოეთის რომელიღაც ქალაქში ადამიანთა ერთი ჯგუფი იგებს, რომ ერთ-ერთ სამხრეთულ ქალაქში შეიძლება ავეჯის გარნიტურის ყიდვა. და მიდიან ამ ქალაქში სატვირთო მანქანებით, იძენენ საქონელს, ტვირთავენ და ჩამოაქვთ ჩრდილოეთში, სადაც უკეთებენ კიდეც რეალიზაციას, რასაკვირველია, ზედმეტ ფასებში. და რა? ამ საქმიან ხალხს იჭერენ, ასამართლებენ და ხუთ-ხუთ წელს უსჯიან ქონების კონფისკაციით...

განა შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ეს ფაქტი ნორმალურად აღიქვას?! ამ ხალხმა, თურმე, „არაშრომითი შემოსავალი“ მიიღო... როგორ თუ არაშრომითი?

კი მაგრამ, იდეა, ორგანიზაცია, მძღოლების შრომა არაფერს ნიშნავს? ახლა ბენზინის ღირებულება?

მაგრამ არა, ეს ყველაფერი ჩვენს ქვეყანაში დღესაც არაფრად ფასობს. უფრო მეტიც, დანაშაულად ითვლება!

აი, ესეც — ბოლშევიზმი მოქმედებაში!

ვაჭრობის სფეროში, ისევე, როგორც ყველა სხვა სფეროში, დანაშაული, რა თქმა უნდა, ხდება. იყიდება ის, რისი გაყიდვაც აკრძალულია, მაგალითად, ნარკოტიკები; იღებენ და აძლევენ ქრთამს; ადგილი აქვს რეკეტს — გამოძალვას. დაიჭირეთ და მკაცრადაც დასაჯეთ ამგვარი დამნაშავეები, ბატონებო! მაგრამ რას ერჩით ჰქვიან, მოხერხებულ ადამიანს?!

ჩვენ დიდხანს გვიჭედავდნენ თავში და საბოლოოდ ჩაგვიჭედეს კიდეც, — რომ თუ ერთი მდიდრდება, მეორე უცილობლად ღატაკდება. სისულელე, უტიფარი სიცრუე! ისტორიამ დაამტკიცა: მდიდარი საზოგადოება — ეს არის მდიდარ ადამიანთა საზოგადოება.

რაც განსაკუთრებით გვაოცებს ჩვენს სახელმწიფოში, ესაა სრული ულოგიკობა.

ღვინის ბოთლების მწვავე დეფიციტის გამო (ესეც ალკოჰოლიზმთან ლიგაჩოვის იდიოტური ბრძოლის შედეგი), კოოპერატორებს ნება დართეს მოსახლეობისაგან 10 კაპიკად შეეძინათ ცარიელი ბოთლები და სახელმწიფოსათვის 20 კაპიკად ჩაებარებინათ. და საქმეც კარგად წავიდა! მაგრამ, ღვთის გულისათვის, განმიმარტოს ვინმემ, თუ ისაა დასაშვები, რომ შეგიძლია 100 პროცენტი მოგება მიიღო ბოთლებისაგან ისე, რომ არაფერი აწარმოო, რატომ იკრძალება ეს დივანთან თუ სავარძელთან დაკავშირებით?

მაგრამ ბოლშევიკები ლოგიკას არ სცნობენ, თუმცა, ერთ ლოგიკას კი აღიარებენ, თანაც დიდი სიამოვნებით — „კლასობრივი ბრძოლის“ ლოგიკას! დამცირება, ფეხქვეშ გათელვა, წართმევა, ძარცვა, მკვლელობა — ეს კარგია, საჩვენოა, კომუნისტურია...

ბატონო კაპიტალისტებო, ქალბატონო ტეტჩერ, მისტერ ბუშ, ჰერრ კოლ, მუსიე მიტერან, გონს მოდით, სანამ გვიან არაა.

ნურცერთ ცენტს, ნურცერთ პფენინგს, ნურცერთ სანტიმს ნუ გასცემთ საკუთარი დასაფლავებისათვის.

და შეგვიბრალეთ ჩვენ.

**ალექსანდრ ივანოვი**

**„დემოკრატიჩესკაია როსსია“, № 5, 1990 წ.**

# ნამცვრევი

**რუბრიკას უძღვება გიზო ჭელიძე**

**კოლმეურნის ჩონჩხი**

გურიანთაში (ოზურგეთი) არქეოლოგები გათხრებს აწარმოებდნენ. ადამიანის ჩონჩხი აღმოაჩინეს.

— რომელი საუკუნის უნდა იყოს? — იკითხა ერთმა ცნობისმოყვარემ.

— ძველი ჩანს, ალბათ იმდროინდელია, როცა ამ ადგილებში უძველესი ქალაქი ვაშნარი ჰყვაოდა.

— კოლმეურნეა მაგი! — დაბეჯითებით ჩაილაპარაკა ნიკა მუჯირმა.

— რას ამბობ, კაცო? — გაიკვირვა არქეოლოგმა.

— ვერ ხედავთ?!.. ხორცი, ტყავი და კვერცხი ჩაუბარებია სახელმწიფოსთვის, ძვლები ქე ყრია მაგერ!

**პროფესია**

ძიმითელი ივაკო ხარატი საირმეში ისვენებდა. იქ მილიციის გენერალს გაეცნო. როცა შეეჩვივნენ ერთმანეთს, გენერალმა ჰკითხა:

— რა პროფესიის კაცი ბრძანდებით?

— ახალგაზრდობაში ქურდობას ვეწეოდი! — სერიოზულად თქვა ივაკომ. მილიციის გენერალი შეცბა.

— ქურდობას ეწეოდით?

— დიახ!

— მერედა, როდის დაანებეთ თავი?

— თქვენ რომ დაიწყეთ, მაშინ!

**ავტორიტეტი**

მაღალმთიან სოფელ სურებში (ჩოხატაური) ლადიკო მასწავლებლად გაამწესეს. იმუშავა ერთი წელი.

— წავიდე უნდა ამ სკოლიდან! — უთხრა ერთ დღეს ლადიკომ სახლის პატრონ მოხუც ქალს ელპიტეს.

— რა მოხდა ასეთი?

— აბა, რა ვქნა? მოსწავლეს სწავლა არ უნდა, მასწავლებელს — სწავლება... დამეკარგა ავტორიტეტი.

— არ მოგყოლია, ალბათ, თვარა, აქანე არ დაგეკარგებოდა, ნენა! — უპასუხა ელპიტემ.

**ექიმთან**

ბენიას წნევამ აუწია და ექიმთან მივიდა.

— ვერ ვარჩენთ ბატონო, წნევას! — უთხრეს პოლიკლინიკაში.

— ინფარქტს?

— ვერც ინფარქტს.

— კიბოს?

— გაგიგონიათ?

— აბა, ეკალს მეც ქე ვიღებ ფეხიდან.

**ანეტა**

ანეტა ორმოცაძემ თინა იმნაძეს ჰკითხა:

— დედაშვილობას, ამიხსენი ერთი, გაზეთებში რომ წერენ, პენსიები იზრდებაო, რატომ არ მიმატებენ?

— მაგი კანონი არაა ჯერ ძალაში შესული!

— აბა როდის შევა ძალაში, მე რომ გამჭიმავენ „ხალაში“?

**დარაჯი**

ქესკინი ცხოიძე კოლმეურნეობის საწყობის დარაჯად დანიშნეს. ერთ დღეს კლუბში კონცერტი გაემართათ, ქესკინემ საწყობი მიატოვა და კლუბის კარები შეაღო.

— ეს რა გიქნია? — იღრიალა თავმჯდომარემ.

— საწყობი როგორ მიატოვე? მთელი ჩვენი ავლადიდება იმ საწყობშია! — წამოიძახა ბუღალტერი.

— დაგვღუპავს ეგ ოხერი! — გადმოიძახა პარტკომმაც.

— რა ვქენი ამისთანა? — გაიკვირვა ქესკინემ.

— როგორ თუ რა ქენი!.. შეიპარებიან საწყობში ქურდები და მოგვჭამა ჭირი!

— აგერ ხართ ყველა და ვინ შეიპარება საწყობში, ბატონო!

**გადარჩა**

ლადიკო ავად გახდა. მის გადარჩენას არავინ ფიქრობდა. როცა მოიკეთა და მომჯობინდა, ქუჩაში გამოვიდა. შეხვდა თავმჯდომარე.

— რავა ხარ ლადიკო, დაბრუნდი საიქიოდან?

— ჩემი ბედი, რომ სოფლის გზებით არ მომიწია უკან დაბრუნება, თვარა, ახლაც გზაში ვიქნებოდი.

**ავტობუსში**

ბენია და ლადიკო ავტობუსით მგზავრობდნენ.

— რა ამბავია, თუ იცი, მთავრობაში? — იკითხა ლადიკომ.

— იმისთანა ამბავია, როგორც აგერ ამ ავტობუსში! ზოგი ზის სკამზე, ზოგიც დაჯდომას ელოდება... უპასუხა ბენიამ.

**ორმო**

ბრიგადას მარადმწვანე ნარგავების გასაშენებლად ასი ორმოს ამოთხრა დაავალეს.

— ბევრია! — იყვირეს ბრიგადის წევრებმა.

— გეგმა გეგმაა! — მკაცრად თქვა თავმჯდომარემ, — უნდა ამოითხაროს ასი ორმო!

— ერთმანეთს რომ ვუთხრით ორმოს, არ შევა მაგ გეგმაში? — იკითხა ივაკომ.

გაზეთი იბეჭდება შემავეთის ქაღალდით.

**საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული ახალგაზრდული საქველმოქმედო საზოგადოება „სამშობლოს“ კამერულ-სიმფონიური ორკესტრი (სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი იური დადიანი) შაბათს, 12 იანვარს, 8 საათზე გამართავს საქველმოქმედო კონცერტს. შემოსავალი გადაირიცხება სტიქიით დაზარალებულთა დახახლებისათვის. პროგრამაშია ჰენდელის, ვივალდის, ვაგნერის, ცინცაძისა და ლალაძის ნაწარმოებები.**

**სოლისტები: გალინა ბანდურა, ბადურ სამადაშვილი და მიხეილ ხოშტარია.**

**კონცერტი გაიმართება სიმფონიური მუსიკის დარბაზში, დავით აღმაშენებლის გამზირზე.**

ფასი 50 კაპ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, უაზბეკის ქ. №17. ტელ.: 29-26-81.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი

იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

ინდექსი 66447